საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ერთობა

ხუთშაბათი 30 სექტემბერი 1920 წ.

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება [illegible] ორივე ზომის (15 × 2) 300 მანეთი. [illegible] ლები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 221 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 221

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

კვირას 3 ოქტომბერს ახ. სტ. გადახდილი იქნება წლის თავზედ სამოქალაქო პანაშვიდი ყაჩაღებთან შეტაკების დროს ტრაგიკულად გარდაცვალებულ გიმნაზიის V კლასის მოწაფის

ვარლამ თომას ძე აფხაზავასი

სად. ჯუმათში ებალაურის ეკლესიის სასაფლაოზედ. ლანჩხუთის შტაბი.

(ნ. 2—1)

ძმები: პავლე, ათანასე და მაქსიმე გიორგის ძენი მალაშხიები ეგრეთვე და ძმა კვარაცხელიას გიორგის ასული მალაშხია გულითადი მწუხარებას გამოსთქვამენ გაუბედურებული მშობლების წინაშე წარსულ წლის 27 ენკენისთვეს ტრაგიკულად გარდაცვალებული სამხედრო მფრინავის და საყვარელი ბიძაშვილის კაპიტანი

გრიგოლ ვასოს ძე მალაშხიას

წლის თავზე. (3155—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ლიდა და ოლღა ილიას ასულნი სოლოღაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას დ. ცხინვალში მათი ძვირფასი და დაუვიწყარი დედის

ნინო იაკობის ასულის გადრიძისას

დასაფლავება დ. ცხინვალში. ხუთშაბათს, 30 სექტემბერს.

(3131—1—1)

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო ამით აუწყებს თავის წევრებს, რომ თანახმად წესდების § 18, კვირას 3 ოქტომბერს ქართულ დრამის თეატრში შუადღის 12 საათზე შესდგება კავშირის წევრთა

საგანგებო კრება

განსახილველი საგნები:

1. საზოგადო კრების დადგენილების განხილვა.
2. სასურსათო საკითხი.
3. მიმდინარე საქმეები. (ნ. 2—1)

მე-2 სახელმწიფო თეატრში

(ყოფილი არტისტიული, რუსთაველის პრ. № 21)

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა ხელახალი საჯარო შეჯიბრება

ამ თეატრის ბუფეტების იჯარით გასაცემად, რადგანაც პირველი შეჯიბრება არ შესდგა.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ წინასწარ 70.000 მანეთი ბედ. პირობების გაცნობა თეატრის კონტორაში ყოველ დღე დილის 10—12 საათამდე. (ნ. 2—2)

საქართველოს მუზეუმის

სამეცნიერო საბჭო

ა ც ხ ა დ ე ბ ს

კონკურს მუზეუმის ბიბლიოთ. გამგის თანამდებობაზე

კონკურსში მონაწილენი ოქტომბრის 20 დის სამეცნიერო საბჭოსადმი მიმართულ თხოვნასთან ერთად, აცნობებენ მუზეუმის ადმინისტრაციას: (ლორის-მელიქის ქუჩა № 10) ა) Curriculum vitae-ს და ბ) საბიბლიოთეკო მოღვაწეობის სტაჟს.

კონკურსში მონაწილეთ უნდა იცოდნენ რამდენიმე უცხო ენა **სასურველია უმაღლესი განათლება და აგრეთვე ქართული ენის ცოდნა.** თხოვნების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდის. მუზეუმის კანცელარიაში.

(3125—3—4)

ერობათა კავშირის კომიტეტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ სამშაბათს, 5 ოქტომბერს

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება დაწუნებული საქონელი, მოთავსებული ერობათა კავშირის კომიტეტის საწყობში (მანთაშევის რიგი). საქონლის წინასწარი გასინჯვა შეიძლება პარასკევს, 1-ლ ოქტომბერს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(ნ. 3—1)

საქართველოს კოოპერატიულ ბანკის მეორე გამოცემის აქციებზე

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა

თანახმად ბანკის დამფუძნებელ კრების (15 მარტი 1920 წ.) დადგენილებისა და ფინანსთა სამინისტროს სათანადო ნებართვისა საქართველოს კოოპერატიული ბანკი ადიდებს ძირითად თანხას 5.000.000 მანეთიდან—15.000.000 მანეთამდე; ამ ქამათ გამოცემული იქნება 10.000 აქცია, თითო 1.000 მანეთის ნომინალური ღირებულებისა, შემდეგი პირობებით:

1. აქციებზე ხელის მოწერის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს (მომხმარებელ, საწარმოვო, სასოფლო-სამეურნეო და საკრედიტო კოოპერატივებს და მათ კავშირებს).
2. გამოსაცემი ფასი ამ აქციებისა დანიშნულია 1.050 მანეთი თითო აქციაზე, რომელი თანხაც შეიძლება გადახდილი იქნას ნაწილ ნაწილადაც: 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე; 30 % ნომინალურ ღირებულებისა—მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო დანარჩენი 40 % ამავე წლის პირველ დეკემბრამდე.
3. აქციების გამოსაცემ ფასიდან 1.000 მანეთი ჩაირიცხება ძირითად თანხაში და ორმოცდა ათი მანეთიც საორგანიზაციო ხარჯების ფონდში.
4. აქციებზე ხელის მოწერა შეიძლება სარაიონო კოოპერატივთა კავშირებშიდაც აქციათა ღირებულების დაწესებულ ვადებში წარდგენით.
5. ის დაწესებულებანი, რომლებიც არ შეასრულებენ მე 2-ე მუხლში აღნიშნულ პირობებს აქციათა ღირებულების განსაზღვრულ ვადაზე შემოტანის შესახებ, ჰკარგავენ უფლებას მეორე გამოცემის აქციათა შეძენისას.

(ნ. 10—1) **საქართველოს კოოპერატიული ბანკი.**

მოითხოვეთ ყველგან

გუნებით დაჯილდოვებული საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები

დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და წვრილათ გაშვება თვით ქარხანაში ვაგზლის ქ. № 5. (2980—15—9)

დ. თურდოსპირელი.

ამირანის ცეცხლი

(მოთხრობა.)

5—5 ფასი 5 თუმანი.

სახელმწიფო თეატრი

30 სექტემბერს 1920 წ. ორიგინალური ქართული ოპერა

აბესალომ და ეთერი

მუსიკა **ფალიაშვილისა.** მონაწ. მანდენოვა, ერმოლინსკაია, ვიშემირსკაია-ცაგარელი, ზალიპსკი, ვინაძე, კურბ ტოვი, ჭუმბურიძე, ქურხული. დასდგამს წუწუნავა. 1 ოქტომბერს 1920 წ. **პიკის ქალი** 2 ოქტომბერს **რიგოლეტო.** 3 ოქტომბერს **აბესალომ და ეთერი.** (ნ. 1—1)

სოციალისტური დელეგაციის წასვლის გამო

დღეს ჩვენი ძვირფასი სტუმრები—ევროპის სოციალისტური პარტიების დელეგაციის წევრები სტოვებენ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიას. ნახევარი თვე დაჰყვეს მათ ჩვენს ქვეყანაში და ამ ხნის განმავლობაში ისინი დაუღალავათ მუშაობდენ, შეუჩერებლივ ეცნობოდენ ჩვენს ქვეყანას. ჩამოსვლისთანავე ჩვენ განვუცხადეთ მათ, რომ არაფერი გვაქვს მათგან დასამალავი, მათ ვთვლით ჩვენ მეგობრებათ და საჭიროა დაინახონ როგორც ჩვენი მუშაობის კარგი მხარეები, ისე ჩვენი შეცდომები. ამ განცხადების თანახმად ჩვენ სრული საშუალება მივეცით ჩვენს სტუმრებს ჩაეხედათ ჩვენი ცხოვრების ყველა კუთხეებში, გაეცნობოდენ ჩვენს საქმიანობას და მსჯავრი დაედოთ ჩვენი მოქმედებისათვის, „ჩვენს შორის ვხედავთ ჩვენს მასწავლებლებს—ინტერნაციონალის წარმომადგენლებს", უთხრა სტუმრებს ნოე ჟორდანიამ: „მოდით, მსჯავრი დაგვდეთ, დაგვეხმარეთ, თქვენსკენ ვიწვდით ხელს". „ჩვენი სურვილი და გულითადი თხოვნაა, უთხრა მათ სილ. ჯიბლაძემ, ჩაიხედოთ ჩვენი ცხოვრების ყოველ კუნჭულში, ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ყველა ადგილები დაათვალიეროთ და შეცდომებზე მიგვითითოთ".

ის მსჯავრი, რომელზედაც ილაპარაკეს აქ საქართველოს დემოკრატიის ბელადებმა, დღეს უკვე გამოტანილია. ევროპიელმა ამხანაგებმა მსჯავრი დასდეს ჩვენ მოქმედებას, ყოველ მხრივ აწონდასწონეს ჩვენი ნამუშევარი. მათი მოსვლა საქართველოს სათავეში მდგომი პარტიისთვის იყო მკაცრი გამოცდა, და თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს გამოცდა მისთვის თვალსაჩინო გამარჯვებით გათავდა.

ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი—ის არის, რომ ევროპიდან მოსულმა ჩვენმა მასწავლებლებმა ერთხმად მოიწონეს ჩვენი პოლიტიკის მთავარი ხაზი.

ჩვენ გვინდა განვახორციელოთ სოციალიზმი დემოკრატიზმის გზით; ჩვენ უარვყოფთ უმცირესობის დიქტატურას უმრავლესობაზე; ჩვენ პირიქით, გვინდა დავამკვიდროთ ჩვენს ქვეყანაში უმრავლესობის ხელმწიფება. „მუშათა კლასი თავის ხელში აღებული ძალა უფლებით სინამდვილეში ატარებს პროგრამა-მინიმუმს საერთაშორისო სოციალისტური დემოკრატიისა",—ასეთი იყო თავიდანვე ჩვენი განცხადება ევროპის სოციალიზმის წარმომადგენელთა წინაშე. ამაზე მათგან ჩვენ გადაჭრილი პასუხი მივიღეთ: „ის ხაზი, რომელიც დღეს უჭირავს საქართველოს ხელმძღვანელთ, მიიყვანს საქართველოს მშრომელ კლასს საბოლოო მიზნამდე, სოციალიზმამდე" (ტომ. შოუ). „საქართველოში აღებული გზა ერთად ერთი გზაა, რომელიც მუშათა კლასს მიიყვანს გამარჯვებამდე" (ინგლსი).

საერთაშორისო მდგომარეობამ ჩვენ გვაიძულა რუსეთს გამოვყოფოდით და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა, განუცხადეთ ჩვენს სტუმრებს და ამაზე ასეთი პასუხი მივიღეთ: „მე აღფრთოვანებული ვარ, როდესაც ვხედავ წითელ დროშას ეროვნულზე გადაჭდობილს: ეს არის უდიდესი გამარჯვება" (ვანდერველდე). „მე [illegible], რომ თქვენ გიჭირავთ სახელმწიფო დროშასთან ერთად დროშა ინტერნაციონალური: ეს ნიშნავს, რომ თქვენს სახელმწიფოსთან ერთად ზრუნავთ მთელი ქვეყნის ბედნიერებისათვის" (მაკდონალდი). ყველა დელეგატები ერთხმად აღიარებენ, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება სწორე ნაბიჯია და რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ევროპის სახელმწიფოთა მიერ სოციალისტური პარტიების ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

შემდეგ ჩვენ ვუთხარით სტუმრებს, რომ ამ დამოუკიდებლობის ლოზუნგით ჩვენ გავაერთიანეთ მთელი ერი, მთელი ხალხი, რომ ამ საკითხში შეთანხმებულია ერის ყველა კლასები. სოციალიზმის მეთაურებმა ეს პოლიტიკური ხაზიც სავსებით მოიწონეს. სნოუდენის, ვანდერველდეს და სხვათა პირით მათ აღტაცებით აღნიშნეს ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ „მთელი ხალხია" თავმოყრილი.

სრული თანაგრძნობა ჰპოვა აგრეთვე ჩვენმა განცხადებამ, რომ სოციალიზმის განხორციელებას ჩვენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ველით, და არა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

კონსტიტუცია, მუშათა კანონმდებლობა, აგრარული პოლიტიკა, ეკონომიური საქმიანობა, ჩვენი ცხოვრების ყველა მხარეები გადაუშალეთ თვალწინ სოციალისტ სტუმრებს. მათ დაინახეს ჩვენი მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. და საბოლოო მსჯავრი, რომელიც მათ გამოიტანეს; მეტათ საამაყო და სანუგეშოა ჩვენთვის. მათ სთქვეს, რომ ჩვენი ქვეყანა ღირსია ერთა ლიგაში მიღებისა და სოციალისტურმა პარტიებმა უნდა ყოველი ღონისძიება იხმარონ, რომ ეს ცნობა მოუპოვონ მას. მათ სთქვეს, რომ ჩვენი რესპუბლიკა ღირსია იმის, რომ საერთაშორისო დემოკრატიამ ყოველივე დახმარება გაუწიოს მას მსოფლიო ეკონომიური კრიზისისაგან თავის დასახწევათ.

ეჭვი არა გვაქვს, რომ ის შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენმა ევროპიელმა ამხანაგებმა გამოიტანეს ჩვენი ქვეყნის ნახვიდან, მომავალში დიდს ნაყოფს გამოიღებს ჩვენი რესპუბლიკის გასამაგრებლათ, დემოკრატიული პოლიტიკის განსამტკიცებლად, ჩვენი დემოკრატიის, მთელი ხალხის საკეთილდღეოთ. ჩვენ მალე დავინახავთ, რომ სოციალიზმის წარმომადგენლების მოსვლა—ეს არის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი აქტი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პ რ ე ს ა

„საქართველოს" დემაგოგია ინტელიგენციის შესახებ ჩვენ გამოვააშკარავეთ და ახლა გაზეთი სხვა მხრით გვივლის თავს. საუბედუროდ მისდა იგი, აქაც ფეხს იტეხს.

აი ფაქტები: „საქართველო" სწერს: „ქართველი მენშევიკების აზრით, პროფესორი, ექიმი, მეცნიერი, ან მწერალი—ეს ისეთი ელემენტია, რომელიც შეიძლება იყოს, შეიძლება არა. ამითი საქართველოს რესპუბლიკას არაფერი დააკლდება" („საქ." № 108).

და ამით სწერს სრულს სიყალბეს: ჩვენ პირიქით „კაჩეგრების", ე. ი. მუშების დახსენებთ ჩავუვალეთ იგი, რომ ისინი აფასებენ განათლებას, სპეციალობას, და თვითაც იქით მიისწრაფიან. მაშასადამე მუშების პოლიტიკა ყოფილა არა მეცნიერების უკუგდება, არამედ მათი პატივისცემა. მაშ რათ არ აძლევთ მათ ბევრ ჯამაგირსა?

გვეკითხება „საქართველო."

ჩვენ უკვე გავეცით ამაზე პასუხი:

„სპეციალისტთ და მცოდნე პირებს ჯერ დღესაც აძლევს გარჩევას ჩვენი რესპუბლიკა და შეძლებისდაგვარათ ცდილობს მათი მდგომარეობის საუკეთესო პირობებში ჩაყენებას." (იხ. „ერთობა" № 219 პრესა).

მაშ საიდან გამოატყვრინა გაზ. „საქართველომ" ისეთი აზრი, თითქოს ჩვენ აბუჩად ვიგდებდეთ სწავლას და სპეციალობას? ცხადია, დემაგოგიის გაწევის სურვილიდან მან ეს შეთხზა, მოსჭორა და ჩვენ თავზე მოჰკვახვია.

თან უფრო მაგრათ დასასაბუთებლათ დასძინა, თითქოს ჩვენ დაგვეწეროს, რომ „კაჩეგარს მასზე (ე. ი. სპეციალისტებზე) უკეთ ესმის მნიშვნელობა და ფასი განათლების, და მას უკეთ ესმის ქვეყნის ინტერესები".

ჩვენ კი ვწერდით: კაჩეგარს თქვენზე (ე. ი. „საქართველოს" თანამშრომლებზე) უკეთ ესმის ფასი და მნიშვნელობა განათლების, მას თქვენზე უკეთ ესმის ქვეყნის ინტერესები".

„საქართველომ" ამ გადამახინჯებით ორი სიყალბე ჩაიდინა. ერთი, რომ მაზე თქმული საერთოდ სპეციალისტებზე გადაიტანა, მეორე ის, რომ თავის თავი სპეციალისტებში ჩაირიცხა. მაგრამ დაავიწყდა, რომ იგი ერთშია სპეციალისტი: სიყალბესა და ჭორიკანობაში. და არა მგონია იგი ამ ხელობისთვის სპეციალისტებმა თავის ცეხში მიიღონ.

რუსეთ-პოლონეთის ზავი და აღმოსავლეთის პრობლემა

რიგაში სწყდება არა მარტო რუსეთ-პოლონეთის, არამედ საერთო ევროპიული ზავის ბედი. პოლონეთი დასავლეთ ევროპის ფორპოსტია. თავისი ისტორიული ტრადიციებით კათოლიკური პოლონეთი უფრო ლათინური ერების კულტურულ წრეს ეკუთვნის, ვიდრე აღმოსავლეთ სლავიანურის. ფეოდალურმა პოლონეთმა უკანასკნელ საუკუნეში ბურჟუაზიულ დემოკრატიული ელფერი მიიღო, მაგრამ მისი საერთაშორისო როლი არსებითად ადრინდელი დარჩა. როგორც მეჩვიდმეტე საუკუნეში იან სობესკიმ ოსმალოს ჯარი ვენასთან დაამარცხა, ისე დღეს პილსუდსკიმ რუსის წითელი არმია ვარშავასთან უკუაქცია. ეს როლი პოლონეთისთვის უზრუნველჰყოფს დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით ინგლის-საფრანგეთის, ზნეობრივ თანაგრძნობასა და ნივთიერ დახმარებას. ვარშავის ბრძოლა პოლონეთს მოაგებინა არა მარტო საკუთარმა პატრიოტულმა თავგანწირულებამ, არამედ ფრანგი გენერალურ შტაბისა და ინგლისის სამხედრო ინდუსტრიის დახმარებამაც. რიგის მოლაპარაკებაშიც რუსის რწმუნებულები იძულებული იქნებიან ანგარიში გაუწიონ არა მარტო პოლონეთის, არამედ მისი ძლიერი მოკავშირეების ნებისყოფასაც.

რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შემუშავებული საზავო პირობები კომპრომისის სულითაა გამსჭვალული. რუსეთი უარს ამბობს ყველა სადაო მუხლებზე, რომელმაც მინსკის მოლაპარაკება შეაფერხა: პოლონურ ჯარის შემცირებასა, სამხედრო მრეწველობის დემობილიზაციისა და იარაღის მიღებაზე, ამას გარდა აღმოსავლეთი გალიციაც პოლონეთის უდაო ტერიტორიათ ცხადდება. მაგრამ უარს იტყვის თუ არა პოლონეთი თავის პრეტენზიებზე უკრაინის და ლიტვის მიმართ? ჩვენ გვგონია, რომ დიდი სახელმწიფოები ამ მომენტში პოლონეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს კეთილგონიერებისა და ზომიერებისაკენ მოუწოდებენ. ლლოიდ ჯორჯმა რამდენჯერმე კატეგორიულად განაცხადა, რომ ინგლისი პოლონეთს მხოლოდ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გაუწევს დახმარებას. ინგლისის ხალხს არ უნდა არც ახალი „ჯვაროსნული ომების" წარმოება ბოლშევიკურ რუსეთის წინააღმდეგ, არც რაიმე სასჯელის გაღება უცხო იმპერიალისტურ მიზნებისთვის. ეს ნათლად დაამტკიცა ეგრედ წოდებულ „სამოქმედო საბჭოების" შედგენამ, რითაც ინგლისის მუშათა კლასმა თავისი შეუდრეკელი პაციფისტური ნებისყოფა გამოააშკარავა. ამ „სამოქმედო საბჭოების" ხელმძღვანელები იმუქრებიან, რომ საყოველთაო გაფიცვას მიმართავენ, თუ მთავრობამ მთელი თავისი ავტორიტეტი და ძალღონე პოლონეთის დაშოშმინებას და მშვიდობიანობის დამყარებას არ მოახმარა. ინგლისის მუშათა კლასი კი დღეს ისეთს დიდს პოლიტიკურს ფაქტორს წარმოადგენს, რომ მის სურვილს ანგარიში უნდა გაუწიონ როგორც ლლოიდ ჯორჯმა, ისე დაშინსკიმ და პილსუდსკიმ. ამგვარად თუმც ბევრი რამ ხელს უშლის, მაგრამ შესაძლებელია მაინც ჩამოვარდეს ზავი რიგაში პოლონეთის ეტნოგრაფიულ საზღვრებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საფუძველზე.

თუ ეს გამართლდა და რუსეთ-პოლონეთის ზავი ჩამოვარდა, ეს სრულიად ახალ საერთაშორისო პერსპექტივებს გახსნის. როგორც ცნობილია ბოლშევიკების შეტევა ანტანტის წინააღმდეგ იმ თავითვე სწარმოებდა არა მარტო ვარშავის, არამედ თეირანის მიმართულებითაც. რაკი თანამედროვე რუსეთისა და ევროპის მორიგება დიდის ხნით შეუძლებელია და რაკი დასავლეთის მიმართულება პოლონეთმა გადაჩეხა, მოსალოდნელია, რომ წითელი არმიის შემტევი ენერგია ნაკლებ წინააღმდეგობის გზით წავა და პირს იბრუნებს ჩრდილო სპარსეთისა და ანატოლიისაკენ. უეჭველია, რომ საბჭოთა რუსეთის ზოგიერთი ხელმძღვანელი მშვიდობიანობის სულითაა გამსჭვალული და აღმშენებლობით მუშაობისთვის ოცნებობს. მაგრამ ზოგიერთი მატერიული და იდეოლოგიური ფაქტორი ალბათ დასძლევს ამ ბოლშევიკურ პაციფიზმს. დღევანდელი მაშტაბით რუსეთს ძალიან დიდი ჯარი ჰყავს, ასეთი ჯარის დემობილიზაცია ძნელია დამშეული ქვეყნისთვის, რომელსაც მრეწველობა არ აქვს, რომ უმუშევართა რაზმები შეისრუტოს. მშიერი მეზობელი ყოველთვის საშიში იყო მაძღარ და ნებიერ ქვეყნებისთვის. სპარსეთის ბრინჯს, ინდოეთის ბამბას წითელ არმიელის თვალში ისეთი მისტიური მიმზიდველობა აქვს, რაც რომის სიმდიდრეს გერმანელებისთვის ჰქონდა, ან ბიზანტიისას ოსმალოებისთვის. რასაკვირველია მარტო საჭმელის დაპირებით სამხედრო აღფრთოვანების შექმნა არ შეიძლება და მშიერ არმიებს ყოველთვის თან მიაქვთ ახალი ზნეობა და რწმენაც. მაგრამ ბოლშევიზმს არც ეს მესიანისტური შემეცნება აკლია. რუსეთმა აღმოსავლეთი უნდა გაანთავისუფლოს ევროპიული იმპერიალიზმის ექსპლუატაციისგან, ეს მისი ისტორიული დანიშნულებაა, ასე ფიქრობს არა მარტო ლენინი, ჩიჩერინი და რადეკი, არამედ უბრალო წითელ არმიელიც, რომელიც დღეს გენერალ სკობელევისა და ლიახოვის მიერ გაკვალული გზებით ჰერატისა და თეირანის ბჭეებს უახლოვდება.

არც სპარსეთსა და არც ავღანისტანს წინა აზიაში არ შეუძლია იმ როლის შესრულება, რომელიც ევროპაში ანტანტისთვის პოლონეთმა შეასრულა. ოსმალეთი კი დღეს რუსეთის ბუნებრივი მოკავშირეა. რასაკვირველია სპარსეთის და ანატოლიის გლეხკაცობა ისევე ნწვავედ იგრძნობს წითელი კალიის შესევას, როგორც აძერბეიჯანის გლეხკაცობამ იგრძნო, მაგრამ ამ ბოროტებას შეიძლება დროებით დაემორჩილოს, ევროპიული იმპერიალიზმის მოშორებით მოლოდინში.

შემდეგ, თუ კი მართლა აღმოსავლეთის ქვეყნებმა, ბოლშევიკური არმიის შემწეობით, ევროპის ეკონომიური უღელი მოიშორეს ან შეიმსუბუქეს, მათი გზები დაშორდება რუსეთის გზას, როგორც ფეოდალიზმის უღლიდან განთავისუფლებული ევროპა რევოლიუციურ საფრანგეთს დაშორდა. X.

კარლ კაუცკის ჩამოსვლა

ბათომი. 28 სექ. (დეპეშა). დღეს დილით ჩამოვიდა კარლ კაუცკი და მისი მეუღლე. შევხვდით: ბენია ჩხიკვიშვილი, მე, როგორც ცეკას წარმომადგენელი, ვლასა მგელაძე, ა. წულაძე და მისი (კაუცკის) მდივანი ოლბერგი. მე მივესალმე ცეკას სახელით. მიპასუხა მხურვა-

დღეს

კარლ კაუცკის ბათუმი ზეიმით შეხვდა.

ბერლინის პრესის ცნობით გერმანიის საზღვრებში გადასულ ბოლშევიკთა რიცხვი აღწევს 14,300 კაცს 30 ათასი ცხენით.

ევროპის სოციალისტური დელეგაცია 28 სექტემბერს ბათომს გაემგზავრა. ბათომიდან გუშინ უნდა გასულიყო.

ლიონიდან მიღებული ცნობებით საფრანგეთში წელს მოსავალი 25 პროცენტით მეტი მოსულა.

პოლონელები შეტევას განაგრძობენ.

ფრანგული ცნობებით ვრანგელს ალექსანდროვსკის დაკავების შემდეგ ივანოვკასთან დაუმარცხებია წითლები და ბერდიანსკს უახლოვდება.

ლე სამადლობელი სიტყვით. ჩემსა და მის საპასუხო სიტყვებს დამატებით გადმოვცემ გაზეთებს. კაუცკი დაუცდის ბათომში დელეგაციის წევრებს. უნდა მათთან ლაპარაკი. ხვალ საღამოს, ან ზეგ დილით წამოვა თფილისისაკენ.

დათიკო შარაშიძე.

ბათომი. კაუცკი ჩამოვიდა დღეს დილის ცხრა საათზე მეუღლით. თავს საუცხოვოთ გრძნობს. დაათვალიერა ქალაქი, მახინჯაური, ჩაქვის მიდამოები. საღამოს ქალაქში შესვლისას ბარცხანაში დახვდენ გვარდია და ბარცხანის დემოკრატია. ავტომობილი „ვაშა", „გაუმარჯოს" ძახილით გააცილეს. საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლეში გაიმართა მუშათა მიტინგი, რომლის წინაშე კაუცკიმ ოცი წუთი ალფრთოვანებით ილაპარაკა. ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბინაზე იყო; ქუჩაში გაისმა სიმღერა, "ვაშა კაუცკის"! კაუცკი აივანზე გამოვიდა და ამხანაგებს მიესალმა. ბათომის მუშათა კლასმა ღირსეულათ იდღესასწაულა კაუცკის ჩამოსვლა და რევოლიუციონურ თფილისისაკენ ისტუმრებს საყვარელ სტუმარს.

ვლასა მგელაძე.

ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში

იმერეთში

ტყიბულში.

25 სექტემბერს დილა ადრიან, ჯერ კიდევ ღამით, საგანგებო მატარებელი ტყიბულისაკენ წავიდა, სადაც 12 საათამდე უნდა დაეთვალიერებია დელეგაციას მაღაროები, ხოლო 3 საათზე უკანვე ქუთაისში დაბრუნებულიყო, სადაც დიდძალი ხალხი უცდიდა შესახვედრათ. ის იყო გელათის მიდამოებს მიუახლოვდით, რომ ინათლა და უკვე სადგურებზე გამოჩნდა ხალხი, რომელიც ალტაცებით ეგებებოდა უცხოელ სტუმრებს. 9 საათი შესრულდა, რომ მატარებელი გაჩერდა ტყიბულის მაღაროებში აგებულ შენობებთან, იქ, სადაც მაღაროს მუშებს თავისი ბინები აქვთ.

ნახშირის მტვერში გაწურული, რამოდენიმე წუთით მაღაროებიდან გამოსული მუშები, როგორც ტყვიის ფერი ღრუბლები ფარავდენ მოედანს და სიმღერებით ხვდებოდენ თავის მასწავლებლებს. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. შავ, გამურულ, მარა მომღიმარ სახეებზე, იბეჭდება რაღაც არაჩვეულებრივი სიამოვნება და საერთო ოვაციებში სტუმრები მიყავთ ესტრადასთან, რომელიც ხელოვნურათ მორთულ ტოტებშია დაფარული. სწრაფათ ეკვრიან ესტრადას შავი მაღაროს შავი მუშები, თავის დანაოჭებული და ჩაფიქრებული სახით. ამ ზღვა ხალხში, ერთი საათის წინეთ მაღაროებში ლანდებივით, რომ ებრძოდენ თავისი წერაქვით მთების გულს, ხედავდი მაინც მომავლის იმედს.

ტრიბუნაზე პირველად ადის ინგლისელი ქალი სნოუდენი, რომელიც ადარებს რა რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას საქართველოსას, მოუწოდებს მუშებს არ დაყარონ ფარ-ხმალი ძვირფასი მონაპოვარის დასაცავათ და დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისთვის განაგრძონ ბრძოლა.

შემდეგ ლაპარაკობს ფრანგი დელეგატი, მუშა ინგელსი, რომელიც, სხვათა შორის, ამბობს: „ის პოლიტიკური ფორმები, რომელიც თქვენ შექმენით, ჩვენთვისაც დიდათ საყურადღებოა. თქვენ, რომ დამარცხდეთ აქ, მაშინ კაპიტალისტები და მათი მთავრობები ეტყვიან თავის ხალხებს: აი რა მოუვიდა სოციალისტურ მთავრობას, მას არ შესწევს ძალა მართოს ქვეყანა. და ეს ფაქტი ევროპაში ჩვენს მტრებს მისცემდა იარაღს ხელში. დღეს კი ჩვენთვის ხელით საჩვენებელია საქართველო და ამ მნიშვნელობას, როცა გაითვალისწინებთ, მაშინ თქვენ გაათკეცებით უნდა იმუშაოთ, რომ განამტკიცოთ ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება. საფრანგეთის მუშები იბრძვიან, რომ მაღაროები გადაეცეს სახელმწიფოს, თქვენ კი ეს უკვე გაქვთ, უნდა დაიფასოთ იგი და გვერდში უნდა ამოუდგეთ სოციალისტურ მთავრობას, რომ შექმნათ სამაგალითო შრომის პირობები და წარმოება გააუმჯობესოთ. ეს იქნება უდიდესი საბუთი ჩვენს ხელში ჩვენ მთავრობათა წინააღმდეგ".

დასასრულ გამოდის ვანდერველდე, რომელსაც მუშები ოვაციებს უმართავენ. ის სალამს უძღვნის მაღაროების პროლეტარიატს და პირობას აძლევს გადასცეს მათი ბრძოლის ამბავი ევროპის მუშათა არმიას, რომელიც ხელიხელ ჩაკიდებული მიდის ყველა ქვეყნის მუშებთან ერთად.

მიტინგის დასრულების შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა მაღაროები და ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, სადაც მუშები ახსნა განმარტებას აძლევდენ დელეგაციას. ყველა შეკითხვაზე დელეგატები განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ მუშათა ორგანიზაციებით, შრომის პირობებით, წარსულის ისტორიით და იმით, თუ რა კეთდება ამჟამათ. ხანგრძლივი საუბარის შემდეგ მუშებმა მატარებელთან მიაცილა დელეგაცია, რომელიც სწრაფათ ქუთაისისაკენ გაემგზავრა.

ქუთაისისკენ.

უკვე შუა-დღე იყო. გელათის მიდამოები და ჭუჭნარებით დაფენილი მისი თხემები თავის სილამაზით ახალ ფურცელს ქმნიდა მოგზაურობაში, მით უმეტეს აღმოსავლეთ საქართველოს სოფლები დიდათ განსხვავდება დასავლეთ საქართველოს სოფლებისაგან და განსაკუთრებით იმერეთისაგან.

გზაში ცოტა შევყოვნდით. გელათის ახლოს საბარგო ვაგონი შეუძლებელი შეიქნა მატარებლის შემადგენლობაში დაეტოვებიათ და თითქმის ერთი საათი გავჩერდით. ქუთაისში 2 საათის ნაცვლად, სრულ ოთხ საათზე მივიდა მატარებელი. არც დელეგატები და არც [illegible] არ ვფიქრობდით, თუ თფილისის შემდეგ კიდევ შევხვდებოდით გრანდიოზულ შეხვედრას, თუ მით უმეტეს ქუთაისი, რომლის მცხოვრებთა დიდი ნაწილი თფილისში გადმოსახლდა, ასე ცოცხლად და არაჩვეულებრივათ შესძლებდა სტუმრების მიღებას.

სადგურზე.

ის იყო მატარებელი მიუახლოვდა სადგურს, რომ გამოჩნდა ზღვა ხალხი. ბაქანზე მხოლოდ პოლიტიკურ პარტიების, ორგანიზაციების და დაწესებულებათა წარმომადგენლები სდგანან. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს. სადგური მორთულია გირლიანდებით და ყვავილებით, გასასვლელი გზა დაფენილია ხალიჩებით. ყველას არაჩვეულებრივი სიცხოველე ეტყობა, აუწერელი ენტუზიაზმია, სადგურის შენობა გაჭედილია ხალხით, ხოლო სადგურს უკან მოედანი ერთ მთლიან მოძრავ ტანს წარმოადგენს, აფერადებულს ყვავილებით და ტოტებით. სახლების აივნები, სახურავები და თვით ხეებიც კი სავსეა ხალხით. ერთი შეხედვით თვალწინ გეხატებათ რევოლიუციის პირველი დღეები, თავის განუსაზღვრელი ალტაცებით და იმედებით, სტიქიური ენტუზიაზმით და წარმოუდგენელი სიხარულით. ცეკავშირის სინემატოგრაფი განსაკუთრებული სიცხოველით მუშაობს. მოედანზე გამწკრივებული ეტლები ერთმანეთს რიგზე მიყვებიან და სტუმრებს აცილებენ ქალაქის საბჭოსკენ. აი უკანასკნელი ეტლიც და იგრიალა ზღვა ხალხმა, დაიძრა ტყე დროშებისა, გამოსცდა მშვენიერ არკას, მოქარგულს ყვავილებით და შემოსილს ცოცხალი ტოტებით. არც ერთი ადგილი, არც ერთი სახლი და ხე არ სტოვებს სტუმრებს, ყველგან გაისმის ვაშა, ტაშის კვრა და ისვრიან ყვავილებს. ეტლები დაფარა თაიგულებმა. მოსწავლე ახალგაზრდობა ხან აქ ხან იქ გადაეღობება ეტლებს და სტუმრებს უგზავნის თავის ღიმილს, ალტაცებას და ცოცხალ ყვავილებს.

სადგურიდან ქალაქის ბაღამდე.

ფიქრობ გამოსცილდი სადგურთან შეჯგუფებულ ხალხს და გსურს მალე მიხვდე დანიშნულ ადგილას, მაგრამ ამაოდ ლამობს ეტლები გაჩქარებას, მთელი გზა შეკრულია ხალხით: რეალური სასწავლებლის ეზო სავსეა მოსწავლე ახალგაზრდობით და მოზღვავებულ ხალხით: ხედავ რომ დროშები შორს, შორს ჩამორჩა პროცესიას, ახალი ტალღები დაეუფლა გზას და მჭიდროთ შემოარტყეს რკალი ეტლებს, მარა მათ თავის მხრით უკანა რიგში აყენებს კიდევ ახალი ტალღა და ასე ვიდრე ქალაქის ბაღამდე, სადაც მთელი გიმნაზიის ქუჩა და ბაღის მიდამოები წარმოადგენდა ზღვა ხალხით მოფენილ მიდამოს, ეტლებს საშუალება არ მისცეს აეჩქარებიათ, ხოლო თაიგულებმა და ყვავილებმა მრავალფეროვანათ მოქარგა გზა. ბაღთან აღმართულია იშვიათი ხელოვნებით მორთული არკა ინტერნაციონალური ლოზუნგებით. სახლებიდან მოჩანს ხალიჩები და მებრძოლთა სურათები. და ასე მორთულ-მოკაზმული ქუთაისი, ძველი ქუთაისი, რომლის გულიდან არასოდეს არ ამოფხვრილა ალტაცების ცეცხლი, რომელიც 1905 წლიდან იდგა მებრძოლთა მოწინავე რიგში, თავისი ძველი ტრადიციით ძველი დროშებით და აღგზნებული ალტაცებით შეხვდა სტუმრებს თავის უცხოელ, მარა ამავე დროს ახლობელ ამხანაგებს.

ქალაქის საბჭოში.

5 ს. და 15 წუთზე სტუმრები მივიდნენ ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, სადაც მოწვეული იყო საბჭოს არაჩვეულებრივი სხდომა. საბჭოს თავმჯდომარე ლ. გრიგოლია მიესალმა სტუმრებს თვითმართველობის სახელით და სხვათა შორის სთქვა: „ჩვენთან არიან კაცობრიობის პოლიტიკური თავისუფლების აკვანის—ინგლისის, დიდი რევოლიუციის ქვეყნის—საფრანგეთის, პატარა, მაგრამ გმირი და კულტურული ბელგიის წარმომადგენელნი. ჩვენ ვესალმებით მათ და მთელ საქართველოსთან ერთად ქუთაისის სახელით ვამბობთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაყრდნობილია ქალაქთა და სოფლების შეკავშირებულ დემოკრატიაზე, რომ ჩვენი მმართველობის, ჩვენი მთავრობის საფუძველს შეადგენენ საქალაქო და ერობათა თვითმართველობები". ამის საპასუხოთ **ვანდერველდე** ამბობს: „ჩვენ ბედნიერნი ვართ და ვამაყობთ მით, რომ ასე მშვენივრათ გვიღებს ქალაქი ქუთაისი, რომლის წარსული გვაგონებს რაინდულ დროებს. წარსულ დროში, შავბნელი რეაქციის დროს და ცარიზმის ბატონობისას აი ეს ქალაქი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ დიდ რუსეთს, მის სახალხო წარმომადგენლობას, სახელმწიფო სათათბიროს აძლევდა საუკეთესო მებრძოლებს, იშვიათ რევოლიუციონერებს კაკი წერეთლის და სხვების სახით. მას შემდეგ, რაც საქართველოში შემოვდგით ფეხი, ჩვენ შევხვდა ორი საკვირველი და ამაღელვებელი შეხვედრა. პირველი იყო თფილისში და ეხლა აქ ქუთაისში, ძველ რევოლიუციონურ ქუთაისში. აქ ჩვენ ვიგრძენით განსაკუთრებული ძმური კავშირი, სტუმართმოყვარეობა და ნება მიბოძეთ თქვენთან ერთად შევსძახო გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს"!

ხმოსნები ოვაციებს უმართავენ სტუმრებს, რის შემდეგ დელეგაცია მიემგზავრება ქალაქის ბაღისკენ, სადაც მიტინგზე დიდძალი ხალხია თავმოყრილი.

მიტინგზე.

შუაგულ ბაღში მაღალი ტრიბუნა მორთულია ხალიჩებით და ყვავილებით. ზღვა ხალხით გაჭედილია მიდამო. ხეების ტოტები სავსეა ბავშვებით, ბაღის მოაჯირზე გამწკრივებულია მოქალაქენი, რომელნიც უკანა რიგში მოხვდნენ და სტუმრებს ვერ ხედავენ. ცა შეკრულია ტყვის ფერ ღრუბლებით, გრგვინვის გრიგალი ურბენს მიდამოს, ხოლო წვიმა ნელა აბნელებს ისედაც ღრუბლებში და მაღალ ხეებში დაბურულ ბაღს. სტუმრების გამოჩენაზე როგორც მოძრავი საკვირველება შეინძრა ხალხი, ვაშა და ტაში ექოვა ერთმანეთში, ხოლო ხეებზე გახიზნულ მოსწავლეების ყრიამული ცამდე წვდება. დელეგატები ესტრადაზე იკავებენ ადგილებს. იქვე მათთან სხედან ნ. რამიშვილი, ალ. ლომთათიძე, ქალაქის თავი, სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა და დაწესებულებების წარმომადგენელნი.

ნ. ქუმბურიძე ხსნის მიტინგს და ამბობს: ჩვენ ბევრჯერ გაგვიმართავს მიტინგი აქ, მაშინ როცა გამარჯვებას ვდღესასწაულობდით და როცა მტერი გვესხმოდა, როცა მარტოთ ვიყავით და ალყა შემორტყმულათ ვგრძნობდით თავს, მაგრამ არასოდეს ამ ტრიბუნას არ მიუზიდავს იმდენი ხალხი, რამდენსაც ვხედავთ აქ დღეს. და ეს იმისთვის, რომ დღეს აქ არიან ის ამხანაგები, რომლებზედაც გვეჭირა თვალი გაჭირების დროს".

ამხ. კ. გვარჯალაძე აცნობს ხალხს სტუმრებს სათითაოდ, რაც იწვევს მქუხარე ტაშს და ოვაციებს. დელეგაციის მხრით პირველი ლაპარაკობს ფრანგი დელეგატი ამხ. **მარკე**, რომელიც სხვათა შორის ამბობს: „სამი წლის წინეთ დაემხო რომანოვთა სამეფო ტახტი და ჩვენ, ევროპის სოციალისტებს გვწამდა, რომ რუსეთი გაჰყვებოდა სწორ გზას, მაგრამ შევცდით. მხოლოდ თქვენ შეგრჩათ რევოლიუციით მონაპოვარი და ჩვენ აქ ვხედავთ, რომ ორი წლის განმავლობაში გამოგივლიათ ბევრი გაჭირვება, ვიცით რომ არა ერთ და ორ დღეს მოგკლებიათ პური, მაგრამ თუ არა შრომით, ვერ დასძლევთ გაჭირვებას. თქვენ იცით, რომ ერთის დაკვრით შეუძლებელია ქვეყნის გარდაქმნა, რომ საჭიროა მეთოდიური თანდათანობით მუშაობა და არა ანარქიული გამოსვლა და უკვე შექმნილის განადგურება. და ჩვენ, როცა მივალთ ევროპაში, ვიტყვით, რომ აღმოსავლეთში არის ერთი პატარა ქვეყანა, რომელსაც სურს დამოუკიდებლობის დაცვა იმ პრინციპებზე, რომელზედაც სდგას ევროპის დემოკრატია და პროლეტარიატო, შენი მოვალეობაა დაიცვა ისთქო."

მარკეს შემდეგ ტრიბუნაზე ადის **მაკდონალდი**, რომელსაც ხალხი ოვაციებს უმართავს. „ძვირფასო ქართველო ამხანაგებო და მეგობრებო!—იწყებს ის—მე მწყინს, რომ არ შემიძლია გამოგითქვათ ქართულათ ის მადლობა, რომელიც უნდა დავტოვო აქ ასეთი ალტაცებით მიღებისათვის, მარა საუკეთესო მადლობა იქნება, როცა მივალთ ინგლისში, იქ პროფესიონალურ კავშირებში, პარლამენტში და მუშათა პარტიაში გავსწიოთ აგიტაცია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, რომ პროლეტარიატმა აიძულოს ევროპის მთავრობები იცნონ საქართველო. (ხანგრძლივი ტაში) თქვენ გაგიწევიათ ბრძოლა ისტორიულათ, როცა ცარიზმის დროს ქუთაისი ციმბირს უგზავნიდა საუკეთესო შვილებს, მხოლოდ იმისთვის, რომ ეს შვილები იბრძოდნენ ხალხის განთავისუფლებისათვის. საქართველოს ისტორია არ არის მარტო საქართველოს ისტორია, ეს არის ისტორია ცივილიზაციისთვის ბრძოლისა, ეს არის ისტორია აღმოსავლეთის ბარბაროსობისა და ჩრდილოეთის იმპერიალიზმისაგან თავდაცვისა, როცა მე ყაზბეგში ვიყავი, ცა მოფენილი იყო ღრუბლებით, ხოლო როცა მეორე დღეს ცა მოიწმინდა და გამოჩნდა მთის მწვერვალთა სხივებით მოჭედილი გვირგვინი, მე წარმომიდგა მაშინ მუშათა კლასის განთავისუფლების დღე. და ამ გზისკენ ყველაზე სწორ, მიუხვეველ ბილიკებით მიდის საქართველო და ჩვენ ფიცს ვდებთ ვიბრძოლოთ მიიღოს დიდებულ საქართველომ ნაციათა ლიგაში ის, რისი ღირსიც უდაოთ არის". ხანგრძლივი ტაში და ოვაციები ფარავს მაკდონალდის სიტყვებს.

უკანასკნელათ ლაპარაკობს ბელგიის წარმომადგენელი **დე ბრუკე**, რომელიც ალტაცებულია საქართველოში ნახულით და თავის ამხანაგებთან ერთად ხალხს ფიცს აძლევს ხალხს დაიცვან ევროპაში თავისუფალ—დამოუკიდებელ საქართველოს იდეალები.

ამასობაში კოკისპირული წვიმა დაუშვა. თავმჯდომარე მადლობას უხდის დელეგაციას და ამბობს: „ძვირფასო ამხანაგებო, აი ამ წითელი დროშის ქვეშ გავიმარჯვეთ იმისთვის, რომ ჩვენ მივდიოდით თქვენი გზით. ჩვენი სახელით გადაეცით ევროპის მუშათა კლასს, რომ როცა თქვენ მიიტანთ უკანასკნელ იერიშს კაპიტალისტურ წესწყობილებაზე, ჩვენც თქვენთან ერთად ბრძოლის პირველ რიგში ვიქნებით". ხანგრძლივი ტაშით და ოვაციებით აცილებენ სტუმრებს. მიტინგი იშლება. დაღამდა.

ერობაში.

6 ს. 30 წუთზე დელეგაცია მივიდა ქუთაისის სამაზრო ერობაში, სადაც გულდასმით გაეცნო ერობის მუშაობას. ყველა კითხვებზე უპასუხებდა ერობის თავმჯდომარე კ. სულაქველიძე. აქ დელეგაციამ ერთი საათი დაჰყო. გამოთხოვებისას ჰიუსმანს მოაგონდა ერთი შემთხვევა. როცა მან პირველად გაიცნო სულაქველიძე „1906 წელში, —ამბობს ის,—სულაქველიძე იყო ბელგიაში და იძენდა იარაღს ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ სამხედრო ორგანიზაციებისათვის, მაშინ ჩვენ მისი აგენტები ვიყავით და ვეხმარებოდით იარაღის შეძენაში"-ო.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

ერობიდან დელეგაცია შეიარა ქუთ. გუბ. კოოპერატივთა კავშირში, საიდანაც საქმეების გაცნობის შემდეგ წავიდა პროფ. კავშირთა საბჭოში. დარბაზი გაჭედილია მუშებით. რევოლიუციონურ მოღვაწეთა სურათები ამშვენებენ კედლებს. მისასალმებელ სიტყვას ამბობს გ. ტუსკია, რომელსაც უპასუხებს თომას **შოუ** ის სხვათა შორის ამბობს: „მე აქ თქვენთან მოვედი არა მარტო როგორც წარმომადგენელი ინგლისელ მუშებისა, არამედ მთელი პროფესიონალური მოძრაობისა, ვინაიდან მე კავშირში შევედი 11 წლიდან. დღემდი ინგლისის პროფესიონალური მოძრაობა წარმოადგენდა უფრო აპოლიტიურ ორგანიზაციას. ეხლა კი, ომის შემდეგ, როცა წამოიჭრა მრავალი კითხვები, რომელთა გადაჭრას მოითხოვს ცხოვრება, ჩვენმა პროფესიონალურმა მოძრაობამ შესცვალა გეზი, მან მონახა თქვენ მიერ არჩეული გზა, ეწვევა ინტერნაც. კონგრესზე. მე ვნახე თქვენი წარმომადგენელი და გისურვებთ, რომ პროფეს. მოძრაობის კონგრესსაც დასწრებოდეს თქვენი წარმომადგენელი, რათა შეხვიდეთ საერთაშორისო მუშათა ერთ მთლიან ოჯახში".

საბჭოდან დელეგაცია გაემგზავრა სოც.-ფედერალისტთა კლუბში, სადაც ამ დღისთვის მოეწყოთ წევრთა საერთო საგანგებო სხდომა. დელეგაციას აქ მიესალმენ კომიტეტის თავმჯდ. მ. გავაშელი და გრ. გველესიანი. საპასუხო სიტყვით მიმართა ჰიუსმანსმა. მან სხვათა შორის სთქვა: „მე ვარ აქ წარმომადგენელი არა მარტო ჩემი პარტიის, არამედ იმ ინტერნაციონალის, რომელიც ემყარება დემოკრატიზმის პრინციპებზე. ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურ ორგანიზაციების დაყოფვას არ ვიცნობთ, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს შორის არის აზრთა სხვადასხვაობა. თქვენ კი ემყარებით უმთავრესათ ამ სხვადასხვაობაზე. მე ვიცნობდი 15 წლის განმავლობაში ერთ თქვენ ამხანაგს, რომელიც მიხსნიდა თქვენსა და ს. დ. შორის წარმოებულ დავას. დღეს იცით, რომ ეს თქვენს სასარგებლოთ გადაწყდა და მე მიგითითებთ ამსტერდამის კონგრესის დადგენილებაზე, სადაც ნათქვამია, რომ სოციალისტურ სექტებათ დაყოფვა ყოველ ქვეყანაში იყოს გაერთიანებული ერთ მთლიან სოციალისტურ პარტიაში. თქვენ ამბობთ, რომ მარქსისტები არა ვართო. ჩვენშიდაც ამბობენ მასე სიტყვით, მარა ცხოვრების ულმობელობას მივყევართ ამ გზით და ზოგჯერ ასე მარქსიზმის უარისმყოფელნი უფრო კარგი მარქსისტები არიან. ჩვენის აზრით თქვენს შორის არ არის ღრმა უთანხმოება და მე ინტერნაციონალის სახელით გთხოვთ მიიღოთ ჩვენი შუამდგომლობა თქვენი შეერთების საკითხში. (ხანგრძლივი ტაში).

საერთო ოვაციებით და ტაშის კვრით გააცილეს სტუმრები, რომელნიც მიიპატიჟა ქალაქის თვითმართველობამ ვახშამზე.

სრულ 12 საათზე დელეგაცია სადგურზე გაემგზავრა, სადაც რკინის გზის მუშათა პროფ. კავშირის კლუბში მიესალმენ დელეგაციას. საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს დე ბრუკემ და შოუმ, რის შემდეგ სტუმრები მატარებელში ჩასხდენ.

ამ დროს თფილისიდან ცნობა მოვიდა, რომ გემი უფრო ადრე მიდის ბათომში და დელეგაციის ნაწილი მაინც თფილისში უნდა დაბრუნდესო. დელეგაცია ორად გაიყო. ამხ. ვანდერველდე, მაკდონალდი, შოუ, დე ბრუკე, რენოდელი და ინგელსი, თფილისში გაემგზავრენ, ხოლო ჰიუსმანსი, მარკე და სნოუდენი საგანგებო მატარებლით ჯერ სამეგრელოში და შემდეგ გურიაში, მათთან გაყვა შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი და ალ. ლომთათიძე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

28 სექტემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

მოსკოვი სექტ. 28. **სამხედრო ცნობები.** გროდნოს რაიონში ბრძოლა გრძელდება, ჩვენ სოფ. ოშჩუხოვო დავიკავეთ. (გროდნოს აღმოსავლეთით 15 ვერსზე). სრულიად გავანადგურეთ შემოჭრილი მტრის პოლკი, ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, 6 ტყვიისმფრქვეველი და ტყვეთ წამოვიყვანეთ 150 კაცი. სლონიმის სამხრეთ დასავლეთით 25—40 ვერსზე ბრძოლა სწარმოებს მდ. პრიპიატის რაიონში ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე გადმოსულ მტრის პარტიზანებთან ბრძოლაა. ბრძოლის შემდეგ მტერმა სადგ. სარნი დაიჭირა, როვნოს რაიონში ბრძოლა გრძელდება. ჩვენ ჯარს უჭირავს სტარო-კონსტანტინოვკა, დაბა ნიკოლაევი და ქალ. პროსკუროვზე შეტევას აწარმოებს. ალექსანდროვსკ-სინელნიკოვის რკ. გზის რაიონში სლავგოროდთან ჩვენი ჯარი მტერს ებრძვის. სტარი ვოლკოვიხის რაიონში მტერი შეტევას განაგრძობს.

ფრანგული ცნობები

ვრანგელის მოძრაობა

გენ. ვრანგელის ჯარმა ალექსანდროვსკის დაკავების შემდეგ ივანოვკასთან დაამარცხა წითლები და ბერდიანსკს უახლოვდება.

ლიონის ცნობები

ბელგიაში.

ბელგიის ეროვნულ თავდაცვის მინისტრმა იანსონმა საფრანგეთ-ბელგიის ხელშეკრულების დადების გამო ხელმეორეთ შეიტანა სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი.

მოსავალი.

წელს მოსავალი შედარებით წარსულ წელთან 25% მეტია.

ამერიკის განკარგულებაში მყოფი იაპონიის ტრანსპორტი ვლადივოსტოკიდან ბრესტს მოვიდა 780 რუსი... (დამახინჯებულია) ბავშვები, რომლებიც ბოლშევიკების შეტევის გამო გადაიხვეწნენ გემი იქიდან რიგას წავიდა.

ბრიუსელის კონფერენცია.

საერთაშორისო ფინანსიურ კონფერენციაში ბრიუსელში ბრანდმა აღნიშნა: საჭიროა მრეწველობისათვის კაპიტალი და აგრეთვე სახელმწიფო ხარჯების შემცირებაო. შემდეგ ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შეეხო კაპიტალზე გადასახადის დადების საკითხს. ინგლისის დელეგატმა ლორდ ჩარლმა საჭიროთ აღიარა მუშაობის გაძლიერება და ხარჯების შემცირება. იტალიის დელეგატმა ვიქტორია რიჩმა ნედლი მასალის ძმურათ გაყოფის აზრი გამოსთქვა. საფრანგეთის დელეგატი შეეხო საფრანგეთის ეკონომიურ მდგომარეობასა და მის ბიუჯეტს. მანვე აღნიშნა, რომ საფრანგეთის დანგრეულ ადგილების ისევ აღდგენა სხვა ქვეყნებზედაც ახდენს გავლენას, ვინაიდან 150,000 აკრი მიწა ისევ დაამუშავეს და ეს გარემოება უცხოეთში საფრანგეთისათვის პურის შეძენას შეამცირებს.

ხალხთა ლიგის თავმჯდომარის დეპეშა.

ხალხთა ლიგის თავმჯდომარემ პოლონეთისა და ლიტვის მთავრობებს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც ის ითხოვს, რომ დახმარება გაუწიონ იმ კომისიას, რომელსაც საზღვრების გავლება აქვს დავალებული. ამას გარდა ბურჟუამ დეპეშით მიმართა პოლონეთს და სთხოვა მისცეს მან ლიტვას დრო თავის ვალდებულებათა შესასრულებლად.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

საფრანგეთი და ვრანგელი.

მოსკოვი. სექ. 20. (იზვესტია № 193) სტოკჰოლმიდან რადიო დეპეშით იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობასა და ვრანგელს შორის შეთანხმება მოხდაო, ვრანგელმა თავს იდვა 1. მიიღოს რუსეთის ყოველგვარი ვალდებულება საფრანგეთის პრიორიტეტით და პროცენტებზე პროცენტების გადახდით 2. საბჭოთა რუსეთის წყობილების დანგრევის შემდეგ საფრანგეთი გადაიხდის ძველ რუსეთის ვალებს და ახალ 6½ %. 3. პროცენტების და ვალების ყოველ წლიურად გადახდის უზრუნველსაყოფად საფრანგეთს გადაეცემა საექსპლოატაციოთ ა) ევროპის რუსეთის რკინის გზები. ბ) შავსა და აზოვის ზღვებზე საბაჟო გადასახადთა აკრეფის უფლება, გ) საფრანგეთს მიეცემა უკრაინასა და ყუბანში არსებული ზედმეტი პური, დ) ნავთისა და ბენზინის ¼. ე) საფრანგეთს გადაეცემა დონის ქვა-ნახშირის ¼. ეს უფლებები ძალაში შედის ვრანგელის მიერ რუსეთის სათანადო ტერიტორიების დაკავების თანავე. 4. რუსეთის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროებთან იარსებებს საფრანგეთის საფინანსო და საკომერციო კანცელარია, რომლის უფლებებიც განსაზღვრული იქნება განსაკუთრებული ხელშეკრულებით. 5) რუსეთი ვალდებულად სდებს თავს აღადგინოს თავისი სამხედრო ორგანიზაცია. 6. საფრანგეთი კისრულობს რუსეთში სამხედრო იარაღებისა და მასალების ქარხანათა აღდგენას. საფრანგეთი და რუსეთი სდებენ ურთიერთშორის შეტევა-და თავდამცველ კავშირს ოცი წლის ვადით.

რუსი ბოლშევიკები გერმანიაში.

ბერლინი. სექტ. 18. ბერლინის პრესის ცნობით გერმანიის საზღვრებში გადასულ ბოლშევიკთა რიცხვი აღწევს 143.000 კაცს 30 ათასი ცხენით. მათ განსაიარაღებლად არავითარი ზომა არ მიუღიათ. პოლონეთის ჯარის ზურგს უკან ამოდენი ჯარის დგომა საფრთხეს უქადის პოლონეთს და ყოველ დღე უნდა ველოდეთ მათგან პოლონეთზე თავდასხმას.

ესტონეთი და ამერიკა.

ლონდონი სექტემბრის 20 „მორნინგ-პოსტის" ცნობით ესტონეთის დელეგაციამ სთხოვა ვილსონს ესტონეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

საბერძნეთის პარლამენტის გახსნა.

ათინა. 12 სექ. სექტემბრის 8 დიდძალი ხალხის თანდასწრებით გაიხსნა საბერძნეთის პარლამენტი. პირველი სხდომა ვენიზელოსის პატივსაცემლად შესდგა. პარლამენტის თავმჯდომარემ მისასალმებელ სიტყვების შემდეგ წინადებას უყარა კენჭი: პალატა იღებს რა სახეში საზავო ხელშეკრულებას ოსმალეთთან და დიდ [illegible] საქმეს და გამოხატავს რა მთელ საბერძნეთის აზრს, აცხადებს ვენიზელოსს სამშობლოს მხსნელად და ადგენს გააკეთოს პარლამენტის სხდომის დარბაზში ვენიზელოსის [illegible] დაფა. ეს წინადადება მიღებულ იქნა ხმის [illegible] მადლობელი სიტყვა წარმოსთქვა ვენიზელოსმა, რომელმაც თავის სიტყვაში, სხვათა შორის კატეგორიულად უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს მომავალი არჩევნები სამხედრო პარტიის გავლენის ქვეშ მოხდებოდეს. ახალი პალატა, განაცხადა ვენიზელოსმა, არ იქნება დამფუძნებელი კრება, იგი სარევიზიო ყრილობა იქნებაო. ამასთანავე ვენიზელოსმა აღნიშნა საჭიროება კონსტიტუციის რამოდენიმე მუხლის შეცვლისა.

იტალია და საბჭოთა რუსეთი.

რომი. 13 სექ. „ჟურნალ-დ იტალია" სწერს: იტალიამ 4,000 რუსი ტყვე 303 იტალიელზე გასცვალა. მაშინ როდესაც რუსები ახლით ჩაცმულნი და ორ-ორი წყვილ ფეხსაცმელებით გააგზავნეს, იტალიელები მშიერ-მწყურვალნი და დახეულ ტანსაცმელით მოვიდნენ. ეს კიდევ ცოტაა, ამბობს გაზეთი: იტალიის გემი, რომლითაც გაიგზავნა რუსი ტყვეები, უკან დაბრუნების დროს დაეჯახა ბოლშევიკების ნაღმს და დაზიანდა, დაიღუპა 6 იტალიელი. ესეც ცოტაა, იტალიამ გაგზავნა რუსეთში წამლეულობით დატვირთული ტრანსპორტი, რის სანაცვლოდ მან მიიღო ან დამპალი ან ჩხირებიანი ხორბალი. გაზეთი სწერს: მოსკოვის ლაყბობა ვერ გააძლებს ვერც იტალიის და ვერც რუსეთსო.

ახალი ამბები

◆ **ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წასვლა.** სექტ. 28 საღამოს 11 საათსა და 20 წუთზე თფილისიდან ბათომს გაემგზავრა, იქიდან ევროპაში წასასვლელათ, ევროპის სოციალისტური დელეგაცია. მათ გასაცილებლად სადგურზე მივიდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგები ა. ლომთათიძე და ს. მდივანი, მთავრობის წევრები ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, გვარდიის უფროსი ვ. ჯუღელი და სხვები. დელეგაციის წევრებმა მგრძნობიარე შეხვედრისათვის მადლობა სთქვეს. შევიდნენ ვაგონში. 11 საათ. 20 წუთზე გავიდა მატარებელი, დელეგაცია ბათომიდან სექტემბრის 29 გავა.

◆ **შთაბეჭდილება.** დელეგაციის წევრებმა დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს გამოთქვეს თავის კმაყოფილება ამ მშვენიერ ქვეყნის, საქართველოს ნახვით. რენოდელმა სთქვა: საქართველოს შეუძლია მიიზიდოს დიდძალი ტურისტები უცხოეთიდან. საქართველოში მოგზაურობა შვეიცარიაზე ნაკლებ საინტერესო არ იქნება. საჭიროა საქართველოს სასარგებლოდ პროპაგანდის გაწევა, რათა ტურისტები მოაწყდნენ ამ მხარეს, რომელსაც ეკონომიური მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამისთვის აუცილებელია ევროპიდან საქართველოში მოგზაურობის გაიაფება, მისვლა და გამობრუნება 1000 ფრანკზე მეტი არ უნდა ღირდეს. ჰიუსმანსმა და რენოდელმა განაცხადეს, რომ ისინი გაზაფხულზე ისევ ჩამოვლენ უეჭველად საქართველოში. დელეგაციის წევრი დე ბრუკერი ოქტომბრის 15 მდე დარჩა თფილისში.

◆ **მთავრობის თავმჯდომარესთან.** სექტ. 28 მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია ინახულა ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა ჰიუსმანსმა და 1 საათს ესაუბრა (სდს).

◆ **სია იმ საკრედიტო დაწესებულებებისა,** რომელთაც მინიჭებული აქვთ უცხო ვალიუტით ოპერაციის წარმოება, თანახმათ მთავრობის ა/წ აგვისტოს 31 დადგენილებისა და უცხო ვალიუტის მომწესრიგებელ განსაკუთრებულ თათბირის დადგენილებისა: 1) კავკასიის ბანკი, 2) სავაჭრო ბანკი, 3) ამიერ-კავკასიის ბანკი, 4) ევროპა-კავკასიის ბანკი, 5) ცენტრობანკი, 6) ფრიდონოვის ბანკის კანტორა, 7) აზოვ-დონის ბანკის თფილისის განყოფილება, 8) ვოლგა-კამის ბანკის თფილისის განყოფილება, 9) საერთაშორისო ბანკის თფილისის განყოფილება, 10) ჩრდილო-კავკასიის ბანკის თფილისის განყოფილება და 11) საქართველოს კოოპერატიული ბანკი. სია პროვინციის იმ საკრედიტო დაწესებულებებისა, რომელთაც მიენიჭებათ უცხო ვალიუტით ოპერაციის წარმოების უფლება, განსაკუთრებით იქნება გამოცხადებული. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვ. აღმ. ს. ავალიანი. (სდს)

◆ **ინგლისის წარმომადგენლის ჩამოსვლა.** სექტემბრის 28 თფილისს ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის უმაღლეს კომისრად დანიშნული ინგლისის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტოკსი. სადგურზე მათ შესახვედრათ გამოწკრივებული იყო საპატიო ყარაული მუსიკით. სადგურზე შეხვდენ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარციძე, სამხედრო მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი გენ. გედევანიშვილი, გენ. ჯაფარიძე და სხვები. პოლ. სტოკსმა ჩაუარა საპატიო ყარაულს და მისალმების შემდეგ გაეშურა მისიისკენ. დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს თან ჩამოყვა პოლ. ბრიუნი, შვეიცარიიდან დაბრუნებული მისიის მდივანი [illegible] და ლეიტენანტი ორბელიანი, რომელიც დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ბათომში შეხვდა. სექტემბრის 28 საღამოს დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტოკსი ინახულა ევროპის სოციალისტთა დელეგაციის წევრმა მაკდონალდმა და ხანგრძლივი საუბარი ქონდა მასთან. სექტემბრის 29 დილის 11 საათზე თფილისიდან სტუმბოლს უნდა წასულიყო დიდი ბრიტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების წარმომადგენლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ლიუკა, რომელმაც თავის თანამდებობა პოლკ. ტოკს გადასცა.

კავშირთა საბჭოში. პარასკევს, 1 ოქტომბერს სეკრეტარიატის ბინაზე, საღამოს სრულ 8 საათზე შესდგება ქალ. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი: 1 სახალხო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, 2) ბაზრის კონტროლიორების მოხსენება. 3) სათეატრო კომისიაზე, 4) რუსეთის მუშათა დელეგაციაზე 5) სკოლის გარეშე განათლებაზე და სხვა კითხვები. საბჭოს წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ სხდომას.

პურის გამოცხობის გაუმჯობესება. მუშათა მაგიდამ ცენტრალურ ქალაქის № 2 პურის საცხობისთვის საჭირო მექანიკურ დგმის ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინა. დგმა 2 მილ. მან. ჯდება. ასეთი მანქანებით ჩქრება მექანიური ცომის მოზილა და სხვა. მუშათა მაგიდის წინადადებით სასურსათო განყოფილება ახალ მანქანების დადგმას ამ დღეებში უნდა შეუდგეს. (სდს).

მოსკოვის სახალხო ბანკი. როგორც გავიგეთ საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილემ ლ. სტარკმა საქართველოში არსებულ მოსკოვის სახალხო ბანკს დაუნიშნა კომისრათ ი. გადიძე, რომლის განკარგულების შესრულებაც სავალდებულოა ბანკისთვის. ამის გამო მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებამ აცნობა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის მოადგილეს, რომ ბანკი არსებობს 1911 წლ. წესდების მიხედვით, წარმოადგენს კერძო უფლებრივ ხასიათის კოოპერატიული დაწესებულებას და მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიხედვით ამიტომ კომისრის დანიშვნა იურიდიული გაუგებრობაა, და კომისრის დანიშვნა, ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. (სდს.)

შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი. 28 სექტ. ყველა სამაზრო ერობის გამგეობებს, ქალ. თფილისის მილიციის უფროსს და აჭარისთვის კომისარიატს. კანცელიარია ამასთანავე გაცნობებთ, ცნობისათვის და სათანადო განკარგულების მოსახდენად, რომ თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა, ვინაიდან თავდაცვის საბჭომ თავისი მოქმედება დაამთავრა და ყველა 1888, 1889, 1894 და 1895 წლებში დაბადებულნი მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის კაცნი დათხოვნილნი არიან ორი თვის შვებულებაში, ამის გამო ამა წლის 4 მაისიდან თავდაცვის საბჭოს დადგენილება ოჯახის ერთად ერთ მარჩენალის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შეზღუდვის შესახებ გაუქმებულია და ხელახლად ძალაში შედის 20 მაისის კანონი. (სდს)

ფინანსთა მინისტრის საბჭოში. ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შემდგარ ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე გაირჩა საკითხი თფილისის 2 საურთიერთო ნდობის საზოგადოების ტფილისის სავაჭრო სამრეწველო ბანკად გადაკეთების შესახებ. ამ საკითხის შესახებ მოხსენება ვ. ბრეგაძემ გააკეთა. საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყდა საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეთა ჯამაგირების ცენტრობანკის შემადგენლობის ჯამაგირთან შესადარებლად მიხდეს ამ საკითხს ხელმეორე გარჩევა საბჭოს მომავალ სხდომაზე. ამავე სხდომაზე გადაწყდა გადიდდეს კოოპერატიულ ბანკის ძირითადი თანხა 10 მილ. მან. (სდს).

სენატში. განიხილა სხდომები სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტისა.

ქართოფილის მიწოდება. მუშათა მაგიდამ საქართ. რკინ. გზათა სასურსათო განყოფილებას მისცა წინადადება დაამზადოს მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის 100 000 ფუთი ქართოფილი. (სდს)

მისალმება. ბათუმის სავაჭრო სამრეწველო პალატამ მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა. (სდს).

მუშათა წარმოდგენები. სახელმწიფო თეატრის მმართველობა იუწყება, რომ მუშათათვის ოპერები დაიწყება ოქტომბრის 9. ოპერები საოპერო თეატრში შაბათობით დაიდგმება და დრამები დრამატიულ თეატრში კვირაობით. (სდს)

გენერალი კვინიტაძე. ჯარების უფროსი მთავარი სარდალი გენერალი კვინიტაძე სამსახურიდან გავიდა და ამასთანავე თავი დაანება სამხედრო სკოლის უფროსობასაც. (სდს)

სენატში. 10 ოქტომბერს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტში გემი „მარია"ს შეიარაღებულ გაძარცვის საქმე არის დანიშნული. ეს საქმე გარჩეული იყო ქუთაისის სასამართლოში, რომელმაც უმეტესობა პასუხისგებაში მიცემულისა გაამართლა საქმე პროკურორის მიერ პროტესტის გაცხადების გამო ხელმეორედ ირჩევა. (სდს).

სახელმწიფო თეატრი. სახელმწიფო თეატრის სამმართველომ დაამუშავა ანგარიში თეატრის წასულ სეზონში მუშაობის შესახებ. თანახმად ანგარიშისა, საოპერო სეზონი შარშან დაწყებული ოქტომბრის 4 და დასრულებულა ივნისის 4. სულ თეატრში 380 სპექტაკლი შემდგარა, აქედან მუშებისათვის დადგმულა 26 სპექტაკლი, ჯარისათვის 8 და 3 სამხატვრო, გარდა ამისა მოეწყო: 3 ლექცია, 8 კონცერტი, 7 ქართული სპექტაკლი, 2 სომხური, 2 თათრული და საბავშვო სპექტაკლები. (სდს).

გადასახადი ჩაიზე. საქციზო სამმართველოში მოხდა თათბირი ადგილობრივ ჩაიზე გადასახადის დაწესების შესახებ. თათბირი იმ დასკვნამდი მივიდა, რომ ადგილობრივ ჩაის გადასახადათ საბაზრო ფასების 5 პროცენტი უნდა დაედვას. (სდს).

დედა ენა 1 ნაწილი. გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, რუსთაველის პროსპ. № 9, სასტუმრო „ორიანტ"ს ქვეშ. მეორე ნაწილი გამოვა სამ დღეში. ფასი თითოეული ნაწილისა 90 მანეთი.

სტუდენტებისთვის შეღავათიანი ტრამვაის ბილეთებზე ხელის მოწერა სწარმოებს სტუდენტთა კოოპერატივში რუსთავ. პრ. 40 ამხ. მამფორიასთან და გამგეობის მდივანთან ლაბარტყავასთან.

ხორცის მიწოდება. სასურსათო განყოფილება შეუდგა თფილისის მცხოვრებთათვის იაფ-ფასიან ხორცის მიწოდებას. ამ მიზნისათვის სასურსათო განყოფილებამ უკვე შეისყიდა საქონელი. საქონელი პირველი პარტია გადაეცა მეხორცეთა ამხანაგობას, რომელთა მაღაზიებიდანაც ხორცი გაიყიდება მცხოვრებლებზედ. ასეთი მაღაზიები არსებობს ეკონომიურ საზოგადოებასთან. კახეთის მოედანზე, ბაზრის და ჩერქეზიშვილის ქუჩებზე. (სდს).

მუშაობის დაწყება სახელმწიფო დაწესებულებებში. შრომის სამინისტროს ცირკულიარი. ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს. ამით ცხადდება სახელმძღვანელოდ მთავრობის 23 სექტემბრის ა/წ დადგენილება: 1) 1 ოქტომბრიდან სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობა სწარმოებს დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდე, 2) შემდეგისათვის მიენდოს შრომის სამინისტროს განსაზღვროს მუშაობის დაწყება-გათავების ნორმალური დრო სახელმწიფო დაწესებულებათათვის.

სახალხო სახლში. 28 სექტემბერს სახალხო სახლში სოციალისტური დელეგაციის თანდასწრებით გაიმართა ქალთა მიტინგი.

— ნაძალადევში პლეხანოვის სახელობის მუშათა სახლში შესდგა თფილისის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების შეერთებული სხდომა, რომელზედაც ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს: ჰიუსმანსმა, მაკდონალდმა, ტ. შოუმ და სნოუდენმა, დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ.

მე-6-ე რაიონის მუშათა კლუბის გამგეობა დღეს, 30 ენკენისთვეს ხსნის კლუბის მე-3-ე განყოფილების (ბებუთოვის ქ. № 22) სეზონს. წარმოდგენილი იქნება ვოდევილები ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე. კლუბში იქნება ბუფეტი, აუქციონი, ყვავილები და დასასრულ გაიმართება ცეკვა. დასაწყისი საღამოს 6 საათიდან.

დუშეთის მაზრის სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბი ატყობინებს, რომ ამავე შტაბთან არსებულ კადრის გვარდიელი შაქრო დიმიტრის ძე ბეჟანიშვილი ქურდობისათვის ამორიცხულია სახალხო გვარდიის სიებიდან და მიცემულია სასამართლოში.

გადამდებ სნეულებიან ავადმყოფთა რიცხვი 15—23 სექტემბრამდე. მუცლის სახადით ავად გახდა 6, შებრუნებითი სახადით—2, ყვავილით—6, ხოლერით—1.

გაზეთის გაწერა. კოწია ივანეს ძე ჩანტლაძემ ორი თვით გაზეთი „ერთობა" გამოუწერა სოფელ ბუღლიეთის სამკითხველოს გარდაცვალებული მართა ჩანტლაძის და ელისაბედ სახარულიძის ხსოვნის აღსანიშნავად; სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს პატივცემულ კ. ჩანტლაძეს.

კრებები.

მეორე რაიონული კოლექტივის და ყველა მცირე კოლექტივების გაერთიანებული სხდომა დანიშნულია დღეს საღამოს 6 საათზე ბიუროს ბინაზე. მცირე კოლექტივებმა უნდა წარმოადგინონ მოხსენებები მათ რაიონებში პარტიულ მუშაობის შესახებ.

— 30 ენკენისთვეს, საღ. 5 საათზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონულ კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა (კახეთის ქ. № 1).

— დღეს, 30 სექტემბერს საღამოს $5\frac{1}{2}$ საათზე დანიშნულია კოლექტივის ბინაზე ს. ს. დ. მ. პ. მე-6 კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღ. 6 საათზე, დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა. განსახილველია მნიშვნელოვანი საკითხები. წევრთა დასწრება აუცილებელია.

— დღეს, საღ. 4 საათ. დანიშნულია მეოთხე რაიონის სარევიზიო კომისიის კრება.

— დღეს, საღ. 7 საათზე, დანიშნულია ვერის გამრთობ ს-ბის გამგეობის სხდომა.

გაზ. „საქართველოს" „იძულებითი" ინსინუაციის გამო

გაზეთი „საქართველო" № 107-ში, ეხება ჩვენი გაზეთის ფინანსიურ მდგომარეობას და ნებას აძლევს თავს ისეთი რამეები გამოგვკრას, რომ თუ განმარტება არ მივეცით, შეიძლება ზოგიერთი მკითხველები შეცდომაში იქნან შეყვანილი, მხოლოდ ამ მიზნით გამომცემლობას საჭიროთ მიაჩნია ანგარიში გაუწიოს გაზ. „საქართველოში" მოთავსებულ ინსინუაციებს. ჩვენ მუხლობრივ გავსცემთ პასუხს ყველა წამოყენებულ „ბრალდებას".

გაზ. „საქართველო" ბრძანებს, რომ „ერთობა" რევოლუციამდე, სხვა გამოცემებთან შედარებით, სულს ღაფავდა და მხოლოდ რევოლუციის წყალობით გამდიდრდაო. ეს არ არის მართალი. რევოლუციამდე „ერთობას" ქონდა საკუთარი სტამბა ამხ. ვარლამ რუხაძეს საზიაროთ, უკანასკნელის სახელზე და მაშინ ეს სტამბა დაგვიჯდა 15,000 მანეთი. ეს იყო 1915 და 1916 წლებში. ქაღალდის მხრით გაზ. „ერთობას" მუდამ ქონდა მომარაგებული რამდენიმე ვაგონი ქაღალდი, ამას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ გაზ. „საქართველოს" ხშირათ სესხათ ვაძლევდით ქაღალდს ჩვენი საწყობიდან და ხშირათ ნაყიდობის კვალობაზე ვუთმობდით. იყო შემთხვევა, რომ გაზ. „საქართველოს" მთელი თვის სამყოფი ქაღალდი ქონდა ჩვენგან წაღებული სესხათ. ნაყიდობის კვალობაზე დაუთმეთ რამდენიმე ასი ფუთი ქაღალდი. თუ არ გჯერათ, შეეკითხეთ მაშინდელ „საქართველოს" რედაქციაში მყოფ დავ. ვაჩნაძეს, ალ. აბაშელს და ე. გეგეჭკორს. შეიძლება ბ-ნ სპირიდონ კედიასაც ახსოვდეს ეს ამბავი. თუ არ გჯერათ შეგვიძლია საბუთებით მოგაგონოთ. ყველა ეს ხდებოდა რასაკვირველია რევოლუციამდე, როცა პოლიტიკურათ ჩვენ გაცილებით უარეს პირობებში ვყავით, ვინემ სხვა რომელიმე გამოცემა, მაშინ, როცა რედაქტორები სარდაფებში ისხდნენ და იქიდან გვაწვდიდნენ საგაზეთო მასალებს, და ყველა ამ მოვლენებს ჩვენ ვძლებდით როგორც სამეურნეო მხარის რიგიანათ დაყენებით, თანამშრომლების გატაცებული და იაფი შრომით, ისე ფართო დემოკრატიის დახმარებით.

ყველა ეს თვისებები თან დაჰყვა ჩვენს გამომცემლობას რევოლუციის შემდეგაც. „საქართველო" კი მაშინაც მოკლებული იყო ასეთ რამეს და დღესაც ვერ ნახულობს ხეირს, აქ მაგალითისათვის ავიღებთ ერთ ფაქტს გაზ. „საქართველოს" სამეურნეო ისტორიიდან. თითქმის ერთ და იმავე დროს 1919 წლის დასაწყისში ჩვენ შევიძინეთ ბაქოში ორი ვაგონი ქაღალდი, გაზეთმა „საქართველომ" ერთი ვაგონი, ჩვენ დაგვიჯდა ქაღალდი თფილისში ჩამოტანილი გირვანქა 2 მან. და 60 კაპ., გაზ. „საქართველოს" კი გაცილებით მეტი (თუ არ ვცდებით ორჯერ მეტი), ეს მაშინ, როცა ბაქოში ქაღალდის მონოპოლია იყო, ადერბეიჯანის მთავრობა ნაციონალ დემოკრატებს უფრო სწყალობდა და ჩვენ კი ახლოს არ გვიკარებდა. მარა ამას არ აქვს აქ მნიშვნელობა. ჩვენ ის იაფი ქაღალდი შევინახეთ და ვბეჭდეთ ზედ გაზეთი, გაზეთ „საქართველოს" „კომერსანტებმა" ქაღალდი ცოტა დაიტოვეს და დანარჩენი მიყიდეს წ.-კითხვის საზოგადოებას გირვანქა 8 მანეთათ. რაკი ცოტა მოსაგები ნახეს, იფიქრეს გავკეთდებით. ქაღალდი კი თანდათან ძვირდებოდა. მათ მიერ გაყიდულ ქაღალდის სანაცვლოთ იმ ზაფხულს გირვანქა ქაღალდში 25 მანეთს და მეტს აძლევდნენ.

საილუსტრაციოთ მომყავს ამონაწერი ჩვენი ანგარიშებიდან. მაგალითად რევოლუციის მეორე დღეს პარტიის პირველ ლეგალურ ყრილობაზე 1917 წლის მაისის ბოლოს, წარდგენილ ანგარიშიდან სჩანს, რომ „ერთობის" აქტივი უდრიდა 42, 845, 73 კაპეიკს, მაშინ როცა პასივი მხოლოდ 10, 385, 85 კაპეიკს უდრიდა. შემდეგ ყრილობაზე 1918 წლის ნოემბერში „ერთობის" აქტივი უდრიდა 152, 620, 82 კაპეიკს. ამავე დროს პასივი უდრიდა 31, 178, 50 კაპეიკს. 1 ივნისს 1920 წელს ჩვენს ყრილობაზე წარდგენილ ანგარიშიდან სჩანს, რომ 1918 წლის 1 ნოემბრიდან 1920 წლის 1 ივნისამდე დაბეჭდილა და გასაღებულა „ერთობა" 2 700,000 ეგზემპლიარი. ამ ხნის განმავლობაში მოსაგები გაზ. „ერთობიდან" გვინახავს 458,000 მანეთამდე (ცალ გაზეთზე მოდის დაახლოვებით 30 კაპ. მოგება).

იმავე საანგარიშო წელში გაყიდულა 1,500,000 მდე გაზ. „ბორბა", რომლიდანაც მოსაგები გვინახავს 756,000 მანეთი (ცალ გაზეთზე მოსაგები დაახლოვებით 50 კაპ.) ყველა ამის შემდეგ სრულიად უსაფუძვლოა გაზ. „საქართველოს" იჭვები თუ საიდან შევიძინეთ ჩვენ სახლი და სტამბა, რომელშიაც ჩვენ მივეცით 1,200,000 მანეთი. თუ შეგშურთ, რომ ჩვენ შედარებით იაფად შევიძინეთ სახლი და ტეხნიკურად საუკეთესოთ მოწყობილი სტამბა, ეს სხვა საქმეა.

გაზეთის ტირაჟზე უნდა მოგახსენოთ, რომ გაზეთ „ერთობის" ტირაჟი არასოდეს არ დაწეულა 6000-ზე ქვევით, ისიც მაშინ, როცა ქაღალდის უქონლობის გამო ხელოვნურად ვამცირებდით ტირაჟს. ხშირი იყო შემთხვევა რომ 12000—15000-ი ცალი იბეჭდებოდა, რაც „საქართველოს" სიზმრადაც არ მოელანდება.

იმის დასამტკიცებლად თუ რა საშუალებით ვყიდულობდით ჩვენ ქაღალდს, შეგიძლიან სხვათა შორის შეიაროთ სამეურნეო ბანკში და ჰკითხოთ თუ როგორი ანგარიშები გვქონდა ჩვენ იქ და რამდენი ვაგონი ქაღალდი შევიძინეთ იმ ბანკის საშუალებით. ვფიქრობთ, რომ იქ მყოფ პატივცემულ პირთ ჩვენს მომხრეობას ვერ დასწამებთ. ჯერ კიდევ რეაქციის დროს, მაშინ როცა ჩვენ საძაგელ პოლიტიკურ პირობებში ვიმყოფებოდით, თქვენთვის კი ღია იყო ვორონცოვ-დაშკოვის კარები, თქვენ ფუთობით ეძებდით გაზეთის ქაღალდს, ზოგს ჩვენს კარებზე და ზოგსაც კერძო საწყობებში, ჩვენ კი იმ დროს რამდენიმე ვაგონი ქაღალდი გვქონდა მომარაგებული, რომ ერთი არსებასავით უმადურები არ იყვეთ, გაიხსენებდით, რომ ჩვენ მარაგიდან ხშირად გისარგებლიათ სწორედ რევოლუციამდის, და აღარ იტყოდით „ერთობა" სულს ღაფავდა რევოლუციამდეო.

ჩვენს პარტიას და გამომცემლობას არავითარ „სხვა მილიონერებთან" საქმე არ ქონია. იმ მილიონების ამბავი, რომელიც მუშათა საბჭომ მიიღო რუსეთიდან ფრონტის სალიკვიდაციოთ, შეგიძლიან თვით მუშათა საბჭოდან მიიღოთ და არავითარ გამოკრულ ფრაზებს აქ ადგილი არ უნდა ქონდეს.

ჩვენი პარტიის ადგილზე, რომ მაგალითად თქვენი პარტია ბრძანებულიყო, მაშინ დასაშვებია რომ თქვენ პარტიისთვის ისარგებლოდით, რადგანაც ყველაფერს მოგების და პროცენტების თვალით უყურებთ, მაგრამ თქვენი არშინი ჩვენ არ მოგვიდგება და თქვენს მუქარას გარეუმების შესახებ საჯაროთ უკან გიბრუნებთ. ჩვენ არაფერი სამალავი არა გვაქვს და თუ რამე იცით აშკარათ დაასახელეთ, გადმოკრული ფრაზებით ფონს ვერ გახვალთ.

მეტეხის ციხის სტამბაზე მოგახსენებთ, რომ ჩვენ ის შევიძინეთ საჯარო ვაჭრობით, რომელ ვაჭრობაშიაც მონაწილეობა მიიღეს ყველა მათ ვისაც კი შეეძლო შეეძინა სტამბისა. ეს იყო მარტში 1920 წლისა. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო სხვათა შორის ცნობილმა ვაჭარმა მადღრმა აგრეთვე რამდენიმე სხვა პირებმა, რომელთა გვარები ჩაწერილია საჯარო ვაჭრობის აქტში.

მაშინ მათ შესაძლოთ ვერ სცნეს მიეცათ იმდენი, რამდენიც ჩვენ მივეცით (1,130,000 მანეთი) და სტამბაც ჩვენ დაგვრჩა. სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენლისთვის გასაკვირალიც კი დარჩა იმ სტამბაში ამდენი ფულის გაღება. მართალია თქვენ მადა დიდი გაქვთ სტამბის შეძენისა, მარა თქვენ ეს ვერ მოგიხერხებიათ. ეს კი ჩვენი ბრალი არ არის და აქედან ის დასკვნა კი არ უნდა გამოიტანოთ, რომ რაკი გაზეთ „საქართველოს" გამომცემლობა ვერ ხეირობს, ვერც სხვა გამომცემლობა იხეირებს.

ეხლა იმ სტამბაზე, რომელიც ჩვენ როსტოვში შევიძინეთ 1917 წლის სექტემბერში და რომელიც მაშინ შეკეთებიანათ ჩვენ დაგვიჯდა 70,000 მანეთი. მიკვირს თუ რა მოსატანი იყო აქ ამ სტამბის ისტორია. ან იქნებ ძიებთ თუ რამდენი რა გვიყიდია და რა გვეზარალია ამ ხნის განმავლობაში? მოგახსენებთ, რომ ამ სტამბას რეკვიზიცია უყო გენერალმა კრასნოვმა. მისი განაღდების საქმეც ვერ არის ჯერ-ჯერობით სასურველ დონეზე. ჩვენ გვაქვს გარანტია 7,000,000 დენიკინის ფულით, რომელიც, რასაკვირველია ვერ აგვინაზღაურებს მაშინდელ 70,000 მანეთს, მარა რა გაეწყობა. თქვენ დაგვიწყებიათ კიდევ ერთი ჩვენი ზარალი, რომელიც აგრეთვე უმტკივნეულოთ გადაგვიტანია. ეს ის არის, რომ ფინლიანდიიდან გამოწერილი ორი ვაგონი ქაღალდი (1320 ოხმა) პეტროგრადში დაგვრჩა გამოუტანელი ბ. ა. არაბიძის საწყობებში საჭიროა თქვენ ესეც იცოდეთ, რომ თუ შემთხვევა მოგვეცა იმის განაღდებისა, თქვენ არ დაგვწამოთ, რომ ბოლშევიკებმა ხათრისთვის დაგვიგდეს [illegible].

ქაღალდს მომარაგების სამინისტროდან ჩვენ ვიძენთ საერთო წესის თანახმათ. მაგალითად შარშანს აქეთ ჩვენ შევიძინეთ მათგან ქაღალდი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფასებში. პირველათ 350—400, მერე—500, მერე—600, მერე—1000 და ბოლოს ამა წლის ივნისში 1500 მანეთი. პროპორციულათ რომ ვიანგარიშოთ, ზოგიერთმა რედაქციებმა გაცილებით მეტი ხნის საყოფი ქაღალდი წაიღეს, ვინემ ჩვენმა. მაგალითად ესერების პარტიამ ქაღალდი წაიღო და გაზეთი სულ არ გამოუცია.

ყველა ზემო-ჩამოთვლილის შემდეგ აშკარაა, რომ „საქართველო"-ში მოთავსებული წერილი მხოლოდ გაბრაზებული გონების ნაყოფია და მეტი არაფერი. მათი მიზანი ალბათ ერთი იყო: პირიდან რაღაცა მაინც დარჩებაო, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მათ აქაც შეეშალათ ნახტომი.

„ერთობა-ბორბის" გამომცემლობა.

ბაქოში

ბევრ საინტერესო ცნობებს გადმოგვცემენ ჩამოსულები ბაქოდან აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლების სიეზდის ცხოვრებიდან. მოგვყავს ზოგიერთი: ენვერ-ფაშა მისულა თაზაპირის მეჩეთში, სადაც დანიშნული ყოფილა კრება ნარიმანოვის მიერ, ხალხი კრებას მოშორებია და, დაუწყია: კალთებზე და ხელებზე კოცნა ენვერისათვის.

ნოხების ქურდობა დელეგატების მიერ

„აღმოსავლეთის" დელეგატები მოთავსებული იყვნენ ბინაში, სადაც მოგებული იყო ნოხები. სიეზდის დამთავრების შემდეგ დელეგატებმა თან გაიყოლიეს ნოხები, რისთვისაც გზაზე შეპყრობილ და გაგზავნილ იქნა საპყრობილეში 60 მდე დელეგატი.

„სუბოტნიკის" ჩასატარებლად შემდეგ ზომას მიმართავენ: რომ ყველა მუშა დაესწრონ „სუბბოტნიკს", მიდიან და ჩაკეტენ ქარხანაში, რომ არავინ გაიპაროს, მაგრამ მოხერხებული მუშები მაინც გარბიან და უმნიშვნელო რიცხვი რჩებათ ხელში.

ახალი მობილიზაცია.

ბაქოს პროფესიონალურ კავშირებმა გადასწყვიტეს მოახდინონ მცხოვრებთა მობილიზაცია ვრანგელის და პოლონეთის ფრონტზე გასაგზავნათ. ამის გამო თათრებმა მუშებმა მიატოვეს მუშაობა და ანგარიშის გასწორება ითხოვეს და როცა არ მისცეს ფული, მიატოვეს სამუშაო და წავიდნენ. რუსებმა კი, არა შენ წადი, არა მე და ერთმანეთს ცხვირპირი დაამტვრიეს.

— —

პურის ნაკლებობის გამო წითელ არმიელებს ორი გირვანქის მაგივრად თითოს აძლევენ.

— —

მოსკოვში ბაქოდან გაუწვევიათ ცნობილი ქართველი ბოლშევიკები: სტურუა, მიქოიანი, ნანეიშვილი და გოგობერიძე, რომელნიც ოპოზიციაში უდგენ ნარიმანოვს.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტში.

სამტრედიაში მომხდარ კონფლიქტის შესახებ, პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

1) ივანე კიკაბიძე, როგორც გამგეობის თავმჯდომარემ, აიღო 20—20 მანეთი მეტი თვითეულ ფუთ სიმინდზე თუ არა?

აღმასრულებელ კომიტეტის აზრით არ არის დამტკიცებული, რომ კიკაბიძემ 20—20 მანეთი ზედმეტი აიღო ფუთ სიმინდზე.

2) ივანე კიკაბიძე ამ ოპერაციების დროს მოქმედებდა როგორც რაიონული გამგეობის თავმჯდომარე, თუ როგორც მოქალაქე ივანე კიკაბიძე?

აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ როგორც სათანადო საბუთები ამტკიცებენ, ივანე კიკაბიძე მოქმედებდა, როგორც რაიონული გამგეობის თავმჯდომარე.

3) კანონიერი იყო თუ არა 26780 მან. აღება ივანე კიკაბიძის მიერ პროცენტების სახით სასურსათო კომიტეტისაგან, სურსათის მიწოდებისათვის?

აღმასრულებელი კომიტეტის აზრით სასურსათო კომიტეტში არსებული წესის თანახმად ი. კიკაბიძეს ამის იურიდიული უფლება ქონდა, მაგრამ ზნეობრივი მხრით, როგორც რაიონულ თავმჯდომარეს ეს არ შეეფერებოდა.

4) დამნაშავეა თუ არა კიკაბიძე იმ ბრალდებაში, თითქოს მას სიმინდი გამოეგზავნოს თფილისში იმ დროს, როდესაც სამტრედია განიცდიდა სიმინდის კრიზისს?

არ არის დამნაშავე, რადგან ჩვენებიდან გამოირკვა, რომ სიმინდის თფილისში გამოგზავნის დროს სამტრედიის რაიონულ სასურსათო მაღაზიაში ყოფილა ორიათას ფუთამდე სიმინდი და ესეც რომ არ ყოფილიყო, მას მთავარ სასურსათო კომიტეტის დირექტივების თანახმათ არ ქონდა უფლება დაეტოვებინა სიმინდი სამტრედიაში.

5) ჰქონდა თუ არა უფლება რაიონულ გამგეობას ზოგიერთ გამგეობის წევრებისათვის მიეცა ჯილდო ზედმეტი შრომისათვის, ადგილობრივათ სასურსათო ოპერაციებისაგან დარჩენილ თანხიდან?

რაიონულ გამგეობას ქონდა ამისი უფლება, რომ ის გამგეობის წევრებისთვის, რომელთაც ზედმეტი შრომა გასწიეს სიმინდის ოპერაციების დროს ჯილდო მიეცა.

6) იყო თუ არა დამნაშავე კიმოთე შენგელია, მიტროფანე ჯანელიძე და მათი ჯგუფი, სამტრედიის კლუბის გარშემო ატეხილ დავაში და ვისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ეს კონფლიქტი.

კონფლიქტი შეიქმნა კიმოთე შენგელაიას და მისი ჯგუფის ხელმძღვანელობით და აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეს კონფლიქტი შექმნეს არა საქმის სასარგებლოდ, არამედ ჯგუფობრივი ინტერესებით.

7) დამტკიცებულია თუ არა სამტრედიის რაიონული გამგეობის თავმჯდომარის ი. კიკაბიძის და გამგეობის დამოკიდებულება ბათომის და მუხიანის ბოროტ-მოქმედებასთან.

აღმასრულებელი კომიტეტის აზრით ეს ბრალდება აგებული იყო ჭორზე და განზრახ წამოყენებული ჯგუფის მიერ, რომ რაიონული გამგეობა გაეშავებინა მუშების და საზოგადოების თვალში.

8) იყო თუ არა კავშირის წესდების დარღვევა ამ ჯგუფის მიერ?

აღმასრულებელი კომიტეტი აღიარებს, რომ წესდების დარღვევა იყო და ეს გამოიხატება: 1) ხელის მოწერის გამართვაში ადგილობრივ საბჭოს წინააღმდეგ, მას შემდეგ რაც მან მის არჩეულ რაიონულ გამგეობას ნდობა გამოუცხადა, 2) გაფიცვის გამოცხადებაში, რომლის უფლება, წესდების თანახმად, აქვს მხოლოდ მთელ რკინის გზელების დელეგატთა ყრილობას და ცენტრალურ გამგეობას, 3) ცენტრალური გამგეობის დადგენილების დაუმორჩილებლობაში.

9) მართალია თუ არა ცენტრალური გამგეობის მიერ ამ ჯგუფის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება მუშაობის დროს ცუღლუტობაში?

მართალია, რომ არც ერთ ამ ჯგუფში მყოფ პირებს მთელი ამ წლის განმავლობაში არ შეუსრულებია რკინის გზებზე არსებული თვიური ნორმა მუშაობისა 200 საათი, მაგრამ იმ ოფიციალური საბუთებიდან, რომელიც წარმოდგენილია ადგილობრივი სათანადო უფროსისაგან, რომელიც ამ გარემოებას ხსნის ავადმყოფობისაგან და მისგან მიცემული შებულებების მიზეზით: აღმასრულებელი კომიტეტის აზრით არ სჩანს, რომ ეს პირები ცუღლუტობდნენ. ყოველ შემთხვევაში ამაში დანაშაული მიუძღვის თვით იმ უფროსს, რომელიც ხშირად აძლევდა ამ პირებს შებულებას.

იღებს რა ყველა ზემოჩამოთვლილ გარემოებას საქართველოს ცენტრალურ პროფესიონალური კავშირთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ივ. **კიკაბიძეს**, როგორც რაიონული გამგეობის თავმჯდომარეს არ შეეფერებოდა ჩვეულებრივი აგენტის მოვალეობის ასრულება და %% სახით ჯილდოს აღება, რომლითაც მან დასცა როგორც მისი, თავმჯდომარის, აგრეთვე რაიონული გამგეობის პრესტიჟი და საშუალება მისცა გამგეობისადმი ოპოზიციონური განწყობილ ჯგუფს წარმოებინა დეზორგანიზატორული მუშაობა. ამისათვის რკინის გზის ცენტრალური გამგეობის დადგენილება რაიონულ გამგეობის რეორგანიზაციის შესახებ დადასტურებულ უნდა იქმნეს;

2. მართალია, რომ კიკაბიძის მოქმედება შეუფერებელი იყო, მაგრამ არავის უფლება არ ქონია, რომ მისთვის ქურდობა დაეწამებინა, ამიტომ **კიმოთე შენგელაია** და მისი ამხანაგები როგორც დაინტერესებულები კიკაბიძის და გამგეობის დაშავებაში მუშაობდნენ, არა როგორც მიუდგომელნი პირნი, არამედ განზრახ კიკაბიძის შეუფერებელ მოქმედებას უმატებდნენ სხვა ჭორებს როგორიც არის ბათუმის და მუხიანის ბოროტმოქმედებათა დაკავშირება კიკაბიძის და რაიონულ გამგეობის მოქმედებასთან; და მასას ისეთ სურათს უხატავდნენ, თითქოს მთელი ბოროტმოქმედებების ბუდე რკინის გზაზე ყოფილიყოს სამტრედიის რაიონული გამგეობა. ასეთი მოქმედება კიმოთე შენგელაიას და მისი ამხანაგებისა აღმასრულებელი კომიტეტის აზრით უნდა ჩაითვალოს პირად ანგარიშებზედ დამყარებულათ.

3. მიუხედავათ იმისა, რომ შენგელაიასა და მის ამხანაგებს ჰქონდათ სხვა მრავალი საშუალებები ამ კითხვის ორგანიზაციული გზით გამოსარკვევათ და დასაბოლოვებლათ, ცენტრალური გამგეობის დადგენილების გასაჩივრების, საქართველოს პროფესიონალურ კავშირის აღმასრულებელ კომიტეტში და რკინისგზელთა ყრილობაზედ კიმოთე შენგელიამ და მისმა ჯგუფმა აუხვია გვერდი ამ ორგანიზაციულ გზას და გამოიწვია გაფიცვა სამტრედიის მუშებში, რომლის უფლება წესდების თანახმად აქვს მხოლოდ რკინის გზელების დელეგატთა ყრილობას და ცენტრალურ გამგეობას, ასეთი სეპარატიული გამოსვლა აღმასრულებელ კომიტეტის აზრით ყველა რკინისგზელთა მიერ დაგმობილი უნდა იქმნას; გამართეს ხელის მოწერა სექციათა გამგეობების კრების დადგენილების წინააღმდეგ, რომლითაც დაარღვია კავშირის წესდება და შეიტანა დეზორგანიზაცია რკინის გზის მუშებში, რაც უფლებას აძლევდა ცენტრალურ გამგეობას, წესდების დასაცავათ, მათ წინააღმდეგ ასეთი დადგენილება გამოეტანა.

ითვალისწინებს რა ყოველისმხრივ ზემოთ მოყვანილ გარემოებებს და იმას, რომ ეს პირები დასჯილი არის თითქმის ერთი თვის უმუშევრობით, საქ. პრ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საკმარისათ სთვლის იმ სასჯელს, რომელიც დღემდის იქნა მიყენებული კ. შენგელიას და მის ამხანაგებისადმი და ადგენს: რათა რკინის გზის ცენტრალურმა გამგეობამ დღეის რიცხვიდან აღადგინოს კ. შენგელია და მისი ამხანაგები თავიანთ უფლებებში.

4) ამასთანავე საქართველოს პროფესიონალური კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აფრთხილებს ყველა ამხანაგებს, რათა შემდეგში არ განიმეორონ და ადგილი არ მისცენ ისეთ დეზორგანიზაციულ გამოსვლებს, რომელსაც ადგილი ქონდა ამ კითხვის გარშემო სამტრედიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ასეთები გაძევებული იქნებიან კავშირიდან.

წერილი ბაქოდან

„აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა"

მარიამობისთვის ბოლო რიცხვებში ქ. ბაქო ემზადებოდა საზეიმოდ, მოელოდენ რუსეთიდან ცენტრის წარმომადგენლებს: ზინოვიევს, ბელა-კუნს, რადეკს და სხვ. მათ მოსვლამდე მართავენ ქალაქის სხვა და სხვა კუთხეებში ხის კოშკებს, აღმოსავლეთის სტილზე, მსგავსათ მეჩეთებისა, განათებულია ელექტრონებით. რადგანაც ბაქოში არ მოიპოვებოდა სალებავები კოშკები ჩითებით მორთეს (იმ დროს როცა მუშები და ჯარისკაცები ტიტველნი დადიან) ეს მორთულობა დაჯდა სოვნარხოზის ანგარიშით 120 მილიონი მანეთი. მათი მოსვლა ხალხმა ვერ გაიგო. მოვიდნენ ჩუმათ. მათი მოსვლა ჩვენ მხოლოდ მესამე დღეს გავიგეთ. ყველას აინტერესებდა მათი ნახვა და ხალხი ელოდება მაილოვის თეატრთან, სადაც უნდა გახსნილიყო აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლების ყრილობა. აგერ გამოჩნდა ავტომობილები. ხალხი აწყდება წინ სტუმრების დასანახად. აგერ მოგრიალდა ავტომობილი შეიარაღებული ჯარისკაცებით, მეორე—ავტომობილი მილიციონერებით, შეკრეს ქუჩის შესავალი და გასავალი ადგილები. გამოჩნდა მესამე ავტომობილი, მაგრამ მაინც არა სჩანან სტუმრები. „ოსობი-ოტრიადის" აგენტები ჩადგნენ კარებში და ახლოს არავის უშვებენ. აგერ გამოჩნდა მეოთხე ავტომობილი, შოფერს გვერდით სხედან შეიარაღებული მცველები. ავტომობილში სხედან: ნარიმანოვი, ზინოვიევი და ბელა-კუნი. მეხუთე ავტომობილში სხედან რადეკი, ნანეიშვილი და მიქოიანი.

სხვა ავტომობილები გავსებულია კომუნისტებით. ხალხიდან ისმის „ურა". ეტყობა რაღაცა ნაძალადევია ეს ყვირილი. ხალხს, ეტყობა, ეინტერესებოდა სტუმრების სახეების დანახვა. ხალხი იშლება. აგერ შეჯგუფებულა ხალხი და მსჯელობს: ამ ხარჯის მაგიერ რომ პურზე და სანოვაგეზე იფიქრონ უფრო კარგი იქნებოდაო. მეორე ჯგუფიდან გესმის: ეს ჩითები რომ მოეცათ ჩვენთვის საცვლებს შევიკერავდითო. მესამენი იძახიან: რა განსხვავებაა ნიკოლოზის და ახლანდელ დროს შორისო, ჩვენ აქ მშიერი, ტიტვლები ვართ და აქ კი მილიონებს ფლანგავენ. აგერ ერთი რუსი მუშა დაგლეჯილი ხალათით და გამურული შალვრით ბუტბუტებს თან აქეთ-იქით იცქირება და იძახის:

— ამიტომ არის, რომ ჯერაც არ მიგვიღია ორი თვის ჯამაგირი, აი რისთვის სდომებიათ ფულებიო. მეორე უფრო ცოტა სუფთად ჩაცმული, მაგრამ გამხდარი ლაპარაკობს. ალბათ იმიტომ შეგვიმცირეს ჯამაგირები, რომ ამისთანა უბრალო ხარჯებისთვის არა ყოფნით ფულიო.

ასე ამრიგათ კიდევ ბევრ რამეს გაიგებდით, რომ ხალხს არ ეშინოდეს „ჩრეზვიჩაიკისა". ხალხს დიდი უკმაყოფილება ეტყობა, მაგრამ ვერ გაუბედიათ სიტყვის თქმა, რადგან იცის, რომ თუ რამე გაუგეს, დახვრეტენ.

დარბაზში შესვლა ბილეთებით იყო, როგორც იყო მეც შევედი. დარბაზში სხედან სხვა დელეგატები. პარტერის პირველ რიგებში სხედან ბაქოს კომიტეტის და პროფესიონალური კავშირე-

ბის წარმომადგენლები. უკანა რიგებში დელეგატები მოთავსებულიან. საინტერესო იყო ამ დელეგატების ნახვა: სხედან სკამებზე ინდოელები, ყირგიზები, არაბები, კალმიკები და იმიერ-კასპიის ხალხი, თავიანთ ეროვნულ ტანისამოსში. თავებზე ხურავთ მთელი ცხვრის ტყავის ქუდები. წამოსხმული აქვთ შუბები და თეთრი ან-და ჭრელი შარვლები აცვიათ. სიცხის გამო ამოუღიათ დიდრონი ხელსახოცები და ინიავებენ.

არიან მათ შორის სომხებიც. გლეხები ისევე სოფლის ტანისამოსით. ეტყობათ, თითონაც არ იციან, რისთვის და ან რათ მოიყვანეს აქ. არიან ქართველებიც, რომლებთანაც სჯა-ბაასში გამოირკვა, რომ მათაც არ იციან რისთვის მოიყვანეს. აი ერთი დელეგატთაგანი რას ლაპარაკობს ჩემ შეკითხვაზე. მე შევეკითხე: თქვენ სოფელმა ამოგირჩიათ და გამოგზავნათ, თუ თქვენი ნებით წამოხველით მეთქი. ის მიპასუხებს: არამც თუ სოფელმა ამომირჩია, ჩემმა ცოლშვილმაც კი არ იცის სადა ვარო, ისე გამომიპარეს, მითხრეს: ბაქოში მდიდრებს წაართვეს სუყველაფერი და საწყალებს ურიგებენო, წამოდი, სანამ არ გაუნაწილებიათ, შენც შეგხვდებაო. მაგრამ თუ შენობები არ შემხვდება, ეს ჯამაგირიც მეყოფა. დღეში მაძლევენ 30,000 მ. თანაც მაჭმევენ, მაძინებენ. აი, დღეს გავყიდე პაპიროსები, რომელიც დაგვირიგეს, 5 კარობკა 500 მან, არაფერს ვაკეთებ და ასე ვცხოვრობ ჯერჯერობით".

აი მეორე ქართველი დელეგატი იასონ ზამთარაძე, როცა შევეკითხეთ იცოდა თუ არა, სადა და რისთვის მოდიოდა, გვიპასუხებს, რომ არ იცოდა, მას უთხრეს, რომ ბაქოში დამყარდა სამოთხე, ვისაც უნდა იცხოვროს და არ იმუშაოს. ასეთი ქალაქია ბაქო. (აქ ჩემ მოსაუბრეს ეცინება) მეც სწორედ მეზარება მუშაობა და იმიტომ წამოვედიო". შევედი ჩვენს საკონსულოში და ვხედავ, რომ ორი ინდოელი დგას და ლაპარაკობენ, მე მაშინათვე ვიცანი, რომ ესენი დელეგატები არიან. მათ ელაპარაკებოდა არაბულ ენაზე მაჭავარიანი. ხალხი შემოხვევია. მე ვთხოვ მაჭავარიანს ეკითხა, რომელ ქალაქიდან არიან დელეგატებათ გამოგზავნილი. გამოირკვა, რომ ეს ინდოელი, თურმე ინგლისელებს დარჩენოდათ თფილისში, მათ იქ ყოფნის დროს. ყოფილა თფილისში რამოდენიმე თვეს და როცა ვერაფერი უშოვნია სამუშაო, ჩამოსულა ბაქოში ბალშევიკების შემოსვლამდე, უნდოდა წასვლა ინდოეთში, მაგრამ მოუსწრეს ბალშევიკებმა, დარჩა აქ და შევიდა მათ ჯარში. აი წამოიყვანეს კრებაზე და გამოაცხადეს ინდოეთის დელეგატათ და მისცეს მანდატი. მისიაში მოსულიყო იმისათვის, რომ გაეგო საქართველოს მთავრობა იცავს ინგლისის მოქალაქეებსო. მეც მოვედი, რომ გამგზავნოთ თფილისში და მერე ინდოეთშიო.

აი ასეთი დელეგატებისაგან შესდგებოდა საისტორიო აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა.

იხსნება კრება. ნარიმანოვი მოუწოდებს კრებას წესიერებისაკენ და განაგრძობს:

„ამხანაგებო, დღევანდელი დღე არის საისტორიო დღე.

დღევანდელ დღეს ეყრება საძირკველი ყველა დაჩაგრული ერების მჭიდრო კავშირს. ამ დაჩაგრულმა და დამონებულმა ხალხმა უნდა გაანთავისუფლოს კაცობრიობა კაპიტალის ბრჭყალებიდან, რაც ვერ გააკეთა ევროპის მუშებმა, ეს საქმე გაწევთ გასაკეთებლათ კისერზე თქვენ, დაჩაგრულნო. ევროპის მუშებმა გაიუმჯობესეს თავიანთი ცხოვრების პირობები და თქვენზე აღარ ფიქრობენ. მაშ გაუმარჯოს დაჩაგრულ ერებს! გაუმარჯოს III ინტერნაციონალს!

მეორე სიტყვას ამბობს ზინოვიევი, რომელიც მოუწოდებს სამღვთო ომისაკენ ევროპის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამ დროს ნარიმანოვის წინადადებით დგებიან დელეგატები ადგილებიდან და ფიცსა სდებენ, რომ იბრძოლებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და დაუწყეს ხანჯლებს, დანებს და რევოლვერებს კოცნა და შუბლზე მიდებით დაამოწმეს ერთგულობა.

კრება იშლება, მაგრამ დელეგატების ერთ ნაწილს ეტყობა რაღაცა არა-ჩვეულებრივი აღელვება. აღელვება ემჩნევათ მაჰმადიან დელეგატებს. დაიბადა რაღაც გაუგებრობა. ხალხი ვერ მიხვედრილა, რაშია საქმე. მერე გამოირკვა, რომ დელეგატებმა ვერ გაიგეს სამღვთო ომის მნიშვნელობა. მათ ესე გაიგეს, რომ სამღვთო ომი გამოეცხადა ქრისტიანთა ტომს.

აქ იწყება კომუნისტების პარტიის ტრაგედია, რით გამოასწორონ ასეთი შეცდომა—აღარ იციან.

მოხდა შეჯახება ნარიმანოვსა და ზინოვიევს შორის.

მოიწვიეს მიტინგები; თან დაყვებოდნენ დელეგატები და უხსნიდნენ, რომ სამღვთო ომს უცხადებენ არა ქრისტიანებს, არამედ კაპიტალს. მაგრამ დაარწმუნეს თუ არა დელეგატები ნამდვილათ, ეს ალახმა უწყის.

მე აღარ გავაგრძელებ დანარჩენ კრებების მდგომარეობას, რადგან არაფერი საინტერესო აღარ მომხდარა. ვიტყვი მხოლოდ, რას იტყოდა კარლ მარქსი ცოცხალი რომ ყოფილიყო?

უდიპი.

ქალაქის საბჭოში

სექტემბრის 27-ს, ქალაქის საბჭომ, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ალ. მდივნის თავმჯდომარეობით, დაადგინა: 1) გაუდიდდეს საპასუხისმგებლო და ადმინისტრატიულ თანამდებობის ქალაქის მოსამსახურეთ ჯამაგირი. ჯამაგირები იქნება 8 ათასიდან 25 ათასამდი თვიურად. 2) მიმდინარე წლის აგვისტოს და სექტემბრის ხარჯები გამონაგარიშებულ იქმნა 79 მილ. მან. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში გადიდდეს ბილეთების ფასი 5—50 მანეთამდი 4) გადადებულ იქმნას 800.000 მანეთი ალექსანდრე მეორე საავადმყოფოში სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საჭიროებისათვის ქირურგიულ და ტერაპიულ კლინიკისათვის 5) საბჭოს სარევიზიო კომისიაში გასულ წევრთა ნაცვლად აირჩიეს ქ. რაჭველიშვილი და შ. ხაციაშვილი. 6) ქალაქის საბჭო აძლევს ერთი თვის შვებულებას, ოქტომბრის 20 ქალაქის თავს ბ. ჩხიკვიშვილს.

ს.-დ. პარტიაში

ბორჯომი. 15 სექტემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის ბორჯომის რაიონის კომიტეტის სხდომა. ბაკურიანის კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ა. კაპან ძე. იგი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ბაკურიანის რაიონში გახშირდა ყაჩაღობა. ორგანიზაციები ღებულობენ ზომებს ყაჩაღების წინააღმდეგ. ამავე საგანს ეხება ქალაქის თავი ვიქ. ლლონტი. ბორჯომის თემის თავმჯდომარე აღნიშნავს, თუ რა ზომები იქმნა მიღებული ყაჩაღობის წინააღმდეგ თემის გამგეობის მიერ. კრებამ მოიწონა თემის მიერ მიღებული ზომები და დაავალა გააორკეცოს თავისი მოქმედება.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ვიქ. ლლონტი ევროპის სოც. დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ, იგი აღნიშნავს ჩვენი ძვირფასი მასწავლებლების: ქ. კაუცკის, ე. ვანდერველდეს და სხვების ევროპიდან საქართველოში მოსვლის მნიშვნელობას. კრებამ აირჩია კომისია შემდეგი პირებისაგან: ვიქ. ლლონტი, ქ. შახნაზაროვი და ა. ჩიხლაძე, რომელთაც დაევალათ ძვირფას სტუმრების ბორჯომში ჩამოსვლის დღეს შეხვედრის მოწყობა.

მდივნათ კრებამ მოიწვია დროებით ვ. დავითიანი, სანამ შესაძლებელი იქნება მუდმივი მდივნის მოწვევა.

დავითიანის განცხადების შესახებ კრებამ დაადგინა: დაევალოს ქალაქის თვითმართველობის გამგეობას ქ. ბორჯომში მოაწყოს პურის ბიურო; რაც პური შემოვა ბორჯომში, ამ ბიურომ უნდა მიიღოს.

პირნახულის უქონლობის შესახებ ბორჯომის რაიონში ხუთ-ფუთობით ხორბლის გადატანის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქ. შახნაზაროვი. იგი აღნიშნავს, თუ რა ხდება ბორჯომის რაიონში და რა უხერხულობას გრძნობს ხალხი ხუთ ფუთობით ხორბლის გატანის დროს. კრებამ დაადგინა: იღებს რა მხედველობაში ბორჯომისა და მის რაიონის განსაკუთრებულ მდგომარეობას, სადაც პირნახული არ მოდის და მუშათა ეკონომიური მდგომარეობა უზომოთ კრიტიკულია, კრება ადგენს:—ეთხოვოს ს. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გორის სამაზრო კომიტეტის საშუალებით მოახდინოს გავლენა მთავრობაზე, რათა მიეცეს ბორჯომის ქალაქს და ბორჯომის თემის გამგეობას საშუალება მოიტანოს პირნახული თავის სახელზე; აგრეთვე ნება მიეცეს მათ, რომ მათი მოწმობით ბორჯომის რაიონში მცხოვრებლებმა დაუბრკოლებლივ შესძლონ პირნახულის შეძენა ნებადართულ რაოდენობის ფარგლებში.

ქ. დანჯაძე.

მუშათა შორის

ბათომში.

კულტურული მუშაობისათვის.

20 სექტემბრის სხდომაზე ვაჭრობა-მრეწველობის დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირის გამგეობამ დაადგინა: დაარსდეს კავშირის წევრებისათვის სამკითხველო, მიღებულ იქნას ზომები პროფესიონალური და მიმდინარე ცხოვრების შესახებ რეფერატებისა, საუბრის გამართვის მოსაწყობად, მოეწყოს მეცნიერულ ნიადაგზე პრაქტიკული მეცადინეობა. ამ ზომების ცხოვრებაში გატარება დაევალა განსაკუთრებულ კულტურულ-განმანათლებელ კომისიას, რომელმაც უნდა მოითხოვოს კავშირთა საბჭოსაგან, რომ მან ყველა კავშირებისათვის დაჩქარებით გაატაროს ამ სფეროს ზომები, როგორიცაა: სახალხო უნივერსიტეტის და წერა-კითხვის სასწავლებლის დაარსება, სახალხო სახლის მოქმედების გაფართოვება, მუშათა სასახლესთან ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა, ლექციებისა და რეფერატების მოწყობა და სხვა.

კავშირის წევრებისა და გამგეობის შორის კავშირის განსამტკიცებლათ.

კავშირის წევრთა და გამგეობის შორის კავშირის განსამტკიცებლათ დადგენილ იქნა, დაარსდეს განსაკუთრებული ინსტიტუტი, რომელშიაც შევლენ წარმოებების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელნი. წარმომადგენელნი ყურადღებას მიაქცევენ თავიანთ ჯგუფებში შრომის დაცვის კანონისა და წესების დაცვას, მწარმოებლების მიერ მათი უფლებების დარღვევის დროს, წარმომადგენლები დაიცავენ გამგეობის წინაშე მუშათა ინტერესებს, შეაგროვებენ საწევრო გადასახადს და დაესწრებიან გამგეობის სხდომებს, გააშუქებენ წარმოებების მოსამსახურეთა პროფესიონალურ საჭიროებებს. განსაკუთრებულ კომისიას დაევალა შეადგინოს კავშირის ყველა წარმოებებისა და დაწესებულებების სიები ჯგუფებით.

საექიმო დახმარება.

კავშირის წევრებისათვის საექიმო დახმარების მიცემის შესახებ გამგეობამ დაადგინა — შეუთანხმდეს სხვადასხვა სპეციალობის ექიმებსა და აფთიაქებს, რათა მათ დაკლებულ ფასებში საექიმო დახმარება გაუწიონ კავშირის წევრებს და მათი ოჯახს—წინადადება მიეცეს საერთო კრებას მოთხოვნილება წარუდგინონ ყველა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებს, რათა მათ მოსამსახურეთა ჯამაგირების რაოდენობიდან შეიტანონ დაწესებული გადასახადი სავათმყოფო კასაში, რომ მათ კავშირს საშუალება მიეცეს შევიდეს კასის წევრათ.

შრომის ბირჟა.

20 სექტემბერს შრომის ბირჟაში იყო 69 კაცი (35 მამაკაცი და 34 ქალი). ახლად ჩაეწერა 7 (5 მამაკაცი და 2 ქალი). შემოვიდა 3 მოთხოვნილება: 1 დურგლის, 1 ქვაზე მომუშავის და 1 ხელზე მოსამსახურის. სამუშაოთ გაიგზავნა 1 ხელზე მოსამსახურე 22 სექტემბრისთვის მოთხოვნილ იქნენ: 1 დურგალი, 1 ქვაზე მომუშავე, 2 მეგაზეთე და 1 ხელზე მოსამსახურე.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში.

22 სექტემბერს მუშათა სასახლეში გ. აიოლოს თავმჯდომარეობით შესდგა ბათომის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის სხდომა. გასარჩევი იყო საკითხი 26 სექტემბერს სახალხო გვარდიის ბათომის რაზმის დღესასწაულში პროფესიონალურ კავშირთა მონაწილეობის მიღების შესახებ. დადგენილ იქნა: 1) ვინაიდან 26 სექტემბერს მხოლოდ 20 რესტორანი ყავახანა იმუშავებს ამასთანავე მათი შემოსავლიდან გვარდიის სასარგებლოთ გამოირიცხულ იქნება პროცენტები, გაიგზავნოს სოლქო შტაბის განკარგულებაში პროფესიონალურ კავშირებიდან კანტროლის გასაწევათ 70 კაცი, 2) მოწვეულ იქნას კავშირთა ყველა წევრები 26 სექტემბრის დემონსტრაციაში აქტიურ მონაწილეობის მისაღებათ. 3) ეცნობოს ამის შესახებ მცხოვრებლებს სპეციალური „ლეტუჩკებით". 4) დაიბეჭდოს გაზეთ „ბათომის ცხოვრებაში" მთელი რიგი წერილებისა სახალხო გვარდიის შესახებ და მოწოდებები. 5) დაევალოს მუსიკალურ სექციას მოაწყოს რამოდენიმე ორკესტრი და გაგზავნოს იმ ადგილებში, სადაც მიუთითებს სახალხო გვარდიის დღის მომწყობი კომისია. 6) დემონსტრაციის საერთო ხელმძღვანელათ დაინიშნონ ამხ. ნაკაიძე და ინწკირველი. 7) 24 სექტემბერს დაინიშნოს საბჭოს სპეციალური სხდომა, სადაც განხილული იქნება საკითხი ჯამაგირიდან და სამუშაო ქირიდან სახალხო გვარდიის სასარგებლოთ პროცენტების გადარიცხვის შესახებ.

ფოთი.

20 სექტემბერს მტვირთავთა პროფესიონალურ კავშირის კულტურულ-განმანათლებელ სექციამ დაადგინა დაიწყოს კულტურული მუშაობა კავშირში. ამის გამო მიღებულ იქნა: 1) მოწვეულ იქნან ლექტორებათ გ. ჩიტაია, მ. კანწურიშვილი, მ. კადიეაშვილი, არ. სამსონაძე და რ. ქორქია. 2) სისტემატიური მუშაობა დაიწყოს 21 სექტემბერს. პირველ მოხსენებას აკეთებს ამხ. ქორქია, „მუშათა კლასი და კულტურა"-ზე. მეცადინეობა შემოღებული იქნება კვირაში ორჯერ. 3) გადაიდოს ფოთის დრამატიულ საზოგადოების საჭიროებისათვის 10,000 მანეთი ყოველ თვიურათ იმ პირობით, რომ ერთი ან ორჯერ თვეში საზოგადოებამ გამართოს წარმოდგენა მუშათა ცხოვრებიდან. 4) დრამატიულ საზოგადოების გამგეობაში კომისია გზავნის თავის წარმომადგენელს. 5) ეთხოვოს ფოთის პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს, რათა მან დაუთმოს მუშათა სასახლის ერთი ოთახი, სადაც კომისია გამართავს კლუბს კავშირის წევრებისათვის.

პროვინცია

ს. ნაბადა. ს. ნაბადა ფოთის რაიონში შედის და მდებარეობს მისი ჩრდილოეთით. მცხოვრებთა რიცხვი 200 კომლზე მეტია. მცხოვრებთა მეტი ნაწილი სასოფლო მეურნეობას მისდევს, ხოლო დანარჩენები პორტის მუშები არიან.

სოფელს თავისი სახელწოდება მიუღია მდ. ნაბადა წყლისაგან, რომელიც საზღვრავს სოფელს ჩრდილოეთით და ერთვის ზღვას.

ამ სოფელს აღმოსავლეთით, რკინის გზის მთავარი ლიანდაგის გასწვრივ ვიდრე ყულევის ქუჩამდე მთელი სიგრძეზე აკრავს უშველებელი ჭაობი. ასეთივე ჭაობია სოფლის შუა გულშიაც. მუდამ წყალი და ტალახია, რის გამო მძიმე სუნი ვრცელდება მთელ სოფელში.

მცხოვრებთა მოსახლეობა სწორეთ ამ ჭაობებს შუა არის გაჭიმული; ბევრს სახლები თითქმის ჭაობში აქვთ აშენებული. ორი საათის წვიმა საკმარისია, რომ მთელი ეზო წყალმა დაფაროს და დიდი ხნით წუმპე დააყენოს. ერთი კვირაა, რაც ფოთში გამუდმებული წვიმები დაიჭირა. ჭაობები გაივსო ნაწვიმარი წყლით და გადმოვიდა გზებზე მინდვრებზე; წყალს სადენი არსაიდან არა აქვს, გაჩერდა ერთ ადგილას; მთელი მიდამო, არე-მარე მნახველს ზღვად მოეჩვენებოდა, ყველას ეზოში და თითქმის სახლში შეუვიდა წყალი და დიდი გაჭირვება მიაყენა ხალხს. ეს მოვლენა პირველი არ არის.

ცხადია, თუ რა ცუდი ჰაერი უნდა იყოს აქ, რომლის მეოხებითაც ხშირია ციებ-ცხელება და მრავალი სხვა ავათმყოფობა.

სოფელში წყალიც ყოვლად უვარგისია, რის მიზეზითაც ჩნდება მუცლის ავადმყოფობა; მაგრამ ხალხი იძულებულია მიუხედავად იმისა, სვას ასეთი წყალი, რადგანაც უკეთესი არ არის. ეს გარემოება კი საშიშროებას წარმოადგენს მცხოვრებთათვის, განსაკუთრებით ეხლა, როცა უკვე გვესმის სხვადასხვა გადამდებ სნეულებების გავრცელების შესახებ. ამის თავიდან აცილება, შეიძლება როგორც ადგილობრივი მკვიდრთა მეცადინეობით, ისე ქალაქის თვითმართველობის დახმარებით, მაგრამ თვითმართველობა ამას სათანადო ანგარიშს არ უწევს. საჭიროა ამ გარემოებას დროზე მიექცეს ყურადღება.

ამ სოფელში არის დემოკრატიული ორგანიზაცია; იმართება კვირაობით კრებები, როგორც საერთო ისე პარტიული, სადაც ირჩევა სხვადასხვა საჭირ-ბოროტო საკითხები.

უმთავრესი ნაკლი ამ სოფლისა ის არის, რომ აქ არ არსებობს არავითარი კულტურული დაწესებულება; თითქმის დაწყებითი სკოლის შენობაც არ აქვთ შეძენილი. ამ მხრით ხალხს მეტისმეტი დაუდევრობა ეტყობა. აღსანიშნავია აგრეთვე უგზოობა: ყულევის ქუჩით შემოდის ფოთში ურმებით დიდძალი ტრანსპორტი, რამაც მთლად გააფუჭა ეს ქუჩა: ნაზვენი მიწა დაიწია ძირს, ჭაობიდან გადმოსულმა წყალმა გადაიტანა ქვიშა და ადგილი ჩაწეულ-ჩაზნექილი დარჩა; მუდამ წყალი დგას და ატალახებულია. ამ გზის გაკეთებას უწინ ქალაქი კისრულობდა, მაგრამ ეხლა ეს საქმე სავსებით ხალხს დააწვა. საზოგადოებაც გრძნობს ამას და კიდევაც აკეთებს თანდათან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერას გამხდარა. საჭიროა ამ საქმეს ქალაქმაც მიაქციოს სათანადო ყურადღება.

ნიადაგი ამ სოფელში ქვიშიანია და მეტისმეტად უნაყოფო. სახნავ-სათესი ადგილები ძალიან მცირეა ამ სოფლის ფარგლებში. უფრო თესვენ სიმინდს, მაგრამ ცუდ მოსავალს იძლევა. ამუშავებენ აგრეთვე მდინარე რიონის ჭალებს, მაგრამ ხშირად ამასაც წყალი ლეკავს და მოსავალს აფუჭებს.

ნაკლებათ მისდევენ კულტ. მცენარეების მოშენებას, მიუხედავად იმისა, რომ აქ არის ადგილები, სადაც შეიძლება მანდარინის, ინდოეთის ლერწმის და სხვა მცენარეების მოყვანა. თუ რომელიმე სოფელი საჭიროებს აგრონომიული დახმარებას,—ეს პირველ ყოვლისა სწორეთ ამ სოფელზე ითქმის.

ვარლამ გვათუა.

——

ს. წყემი (სენაკის მაზრა). ამ უკანასკნელ ხანებში წყემის თემში თავი წამოყვეს ბოროტ-განზრახველებმა. ხუთ სექტემბერს წერილები ჩაუგდეს ეზოში ალექსანდრე და ერმილე მელიავებს, სადაც მოითხოვდნენ უკანასკნელებისაგან დანიშნულ ადგილას ფულის მიტანას. ამის შინაარსის გაგებისთანავე იქმნა მიღებული ზომები ადგილობრივი ძალების საშუალებით და ბოროტ-განმზრახველი აღმოჩნდა წყემისვე თემის მცხოვრები გიორგი ნარსია, რომელიც ბოლო დროს გამოტყდა და გასცა ორი თავის ამხანაგი იონა კილასონია და ბეგლარი ბერაია. ათს სექტემბერს თვით აბაშის უბნის მილიციის უფროსს გადაეცა ნარსიას მიერ გაცემული კილასონია და ბერაია, თვითონ ნარსია უნდა გამოცხადებულიყო მეორე დღეს, რომელიც იმ საღამოთი იქნა გაშვებული. იმ ღამესვე ე. ი. 10 სექტემბერს, ნარსიამ თავი ჩამოიხრჩო.

ტაია წყემელი.

——

ზუგდიდი. ამ ბოლო ხანებში აქ ძლიერ გაგრძელდა ყაჩაღობა, რომელთა თარეშსაც საზღვარი არ აქვს.

სამწუხაროდ ამ მოვლენასთან ბრძოლაში ადმინისტრაციამ გამოიჩინა სისუსტე, ამის დასამტკიცებლათ საკმარისია მოიყვანოს კვლავ ერთი ორი შემთხვევა. დღისით ზუგდიდიდან სამი ვერსზე გაძარცვეს ოჩემჩირიდან მომავალი ორი დელეჟანი, მთელი ნახევარ საათს სროლა იყო, მოკლეს გამყოლი მილიციონერი მედილეჟნეს მოუკლეს ოთხი ცხენი და თავისუფლად მიიმალნენ. თვით შიგ ქალაქში ღამის 10 საათზე დაეცნენ ერთს მცხოვრებს, მოკლეს მილიციონერი და გაიქცნენ. 12 სექტემბერს ზუგდიდიდან 5—6 ვერსის მანძილზე მდებარე სოფელში ერთს ოჯახში ყოფილა 4 ყაჩაღი, რაც უცნობებიათ ადმინისტრაციისათვის და წასულან 30-დე მილიციონერები. 5 საათზე ასტყდა საშინელი სროლა, რამაც 7 საათამდის გასტანა. ყაჩაღები უვნებლად გაიქცნენ, მილიციონერი კი დასჭრეს. ამ ნაირი მოვლენამ ხალხს იმედი დაუკარგა და უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო, არ არის გარანტია გაძარცულ ან მოკლულ არ იქნას კაცი. ხშირათ გაიგონებთ საყვედურს მთავრობის შესახებ. ადგილობრივი ადმინისტრაცია უძლურია ბოლო მოუღოს ამ მოვლენას, რითაც მთავრობის პრესტიჟი ილახება. ამით რასაკვირველია სარგებლობენ სხვა პარტიების მეთაურნი და ხალხს ყურში ჩასჩურჩულებენ, აი უყურეთ რა მოგიტანათ მენშევიკებმაო. საჭიროა სასწრაფოდ ზომების მიღება.

ქ.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ შემდეგი:

ონტოფოს საზოგადოების სახელით იმავე საზოგადოების პედაგოგიური საბჭო, სამზრუნველო და საამშენებლო კომისია უღრმეს მადლობას უცხადებს ამბაკო კოტატის ძე ნადარეიშვილს და სარდიონ ანდრის ძე ვახანიას, რომლებმაც კეთილი ინებეს და თავის ნაცნობ-მეგობრებს შორის შეაგროვეს ონტოფოს სასწავლებლის შენობის ასაგებად 46,850 მან.*)

ონტოფოს სამზრუნველო და საამშენებლო კომისიის წევრები.

---

*) შემომწირველთა სია მიიღო რედაქციამ, რასაც უადგილობის გამო ვერ ათავსებს. რედ.

ჩვენი ფოსტა

ლანჩხუთი. რაიონული შტაბი ავთ. ურუშაძეს. თქვენი საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება. მთავარმა შტაბმა უკვე მოჰკიდა თქვენს საქმეს ხელი და ჩვენ დაუცდით მათ.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა, № 24. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

სამზარეულო
ქირავდება ოთახით და ქურჭლით ოჯახში სადილის მისაცემათ. პირობები ხელსაყრელია, აგრეთვე იყიდება საოჯახო ნივთები. ბებუთოვის ქ № 19, ბინა 1. ზემო სართული. (3145—1—1)

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ვაჟთა მე 6 გიმნაზიის მასწავლებელი იყვანს ერთს ან ორს პანსიონერს—
მოწაფეს
(შეიძლება მომზადებითა და რეპეტიციითაც) პასტეროვის ქ. № 8, ბინა 2. ტელეფონი 16—05. (3143 2—2)

დილის და საღამოს მოსამზ. ჯგუფებს
მე 2, 3 4, 5, 6, კლასის
მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში. შესასვლელად ვადგენ. პლეხანოვის ქ. 25 (კუთხე ალექსის ქ. 5) ჩაწერა 9—11 ს. 2—5 ს. ფასი 2500—3500 მ. თვეში. (3132—3—3)

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს:
საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (12-ოქტ.

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
დაბრუნდა და განაახლა სიფილისით (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანით სნეულებიან ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათ. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა, № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (14 ოქტ.)

ექიმი
[illegible] ივანეს ძე [illegible]
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55
(11—ოქტ.)

ექიმი
ლ. ვ. ჯავახიშვილი
დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

ექიმი
[illegible] ივანეს ძე [illegible]
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის). ტელეფონი 7—38. (11—ოქტ.)

ექიმი
ლ. ვ. დიმენტი.
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალურად **შინაგან და ქალის ავათმყ.** დილის 9—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ნიკოლოზის ქ. № 75, კიროჩნის ქ. ახლო ტელეფ 11—51. (11—ოქტ.

ექიმი
ი. ა. ლომოური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შებყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20. (1—ოქტ.)

ექიმი **მ. ა. [illegible]**
სპეციალურად სიფილისი და მისი [illegible] დებები (შეშხაპუნება „606" და „914") [illegible] ცირკობით მიიღება დილით. [illegible] ოლდას ქ. № 33. (21 ნოე.)

ექიმი
გ. გ. რამენდიკი
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. მკურნავი შინაგან ბავშვების, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების სნეულებათა. ავათმყოფების მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 5—[illegible] საათ. მიხეილის პრ. № 121 ტელეფონი—5—42 (2—ოქტ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოგიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ოქტ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შმ. „606" და „914") შუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს (1 ოქტ.)

იანვრისათვის და ივნისისათვის
ვამზადებ
ბავშვებს 1, 2, 3, 4 კლას. შესასვლელად. გიმნაზიაში და უმაღლ. დაწყებ. სასწავლ. ჩაწერა 9—12 ს. მეცადინეობა დილით. ბინა ი. მაჩაიძისა. პლეხანოვის ქ. 25 (ალექსის ქუჩის კუთხე) (3103—5—5)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეთი გიპნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 11 ოქტ.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა კიროჩნის ქუჩიდან **მიხეილის პრ. № 28** ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავათმყოფების მიღება. სპეციალურად **სიფილისი**, ვენერიული ავათმყ. (გაძნელებული და ქრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. („606" და 914 შეშხაპუნებით) ავათმყ. მიღება დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—8 ს. ქალების საღამოს 5—6 საათ. (7—ოქტ.)

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—3 ს. ფასი 50 მან. უსახსროთათვის უფასოდ 9—11 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1—ოქტ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 ოქტ.

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, სოლოლაკი

მე-11 ქვეითი ბატალიონისათვის
საჭიროა
გამოცდილი კაპელმეისტერი და ოთხი მწერალი, უკანასკნელებმა უნდა იცოდნენ სახელმწიფო ენა კარგათ. მსურველებს ცნობებისათვის შეუძლია მიმართოს ბატალიონის კანცელარიაში. (3148—2—1)

საკუთარი სტამბა, ერთობის ქუჩა №4.